

2008



საქართველოს იბლიოთეკა

ISSN 1512-0880

№2 2008 (31)


საქართველოს



ბიბლიოთეკა



რედაქციის მისამართი:
 თბილისი, 380007 გუდიაშვილის ქ.7
 საქართველოს პარლამენტის
 ეროვნული ბიბლიოთეკა
 ტელ.: 93-26-82
 36-09-51



ქურნალის რედაქცია:
 ადექსანდრე დორია
 - მთავარი რედაქტორი
 გურამ თაყნიაშვილი
 - მთავარი რედაქტორის
 მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი
 მზია რაზმაძე
 - კომერციული დირექტორი
 გუდნარა სჭურუა
 - სამეცნიერო-მეთოდური და
 კორექტორ-მეთოდური და
 რედაქტორ-კოორდინატორი

ჩვენი ჟურნალის მკითხველებს ვაცნობებთ, რომ წელს საქართველოს საბიბლიოთეკო კვირეული გაიხსნა ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მიმდინარე წლის 30 აპრილს, ამავე დროს აღინიშნა ბიბლიოთეკარის დღე. მიმოხილვა ჩატარებული ღონისძიებების შესახებ გამოქვეყნდება ჩვენი ჟურნალის მომდევნო ნომერში.

კორექტორები მათ მიერ ჩატარებულ მუშაობის შესახებ გამოსაქვეყნებლად ბიბლიოთეკებს შეუძლიათ მოგვაწოდონ 30 აგვისტომდე.

ინტერნეტო „ალი“
 დამფუძნებლები: საქართველოს პარლამენტის იდია ქავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა; საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია.



საქართველოს ბიბლიოთეკა № 2-08(31)
შინაარსი

სიტყვა და საქმე 4

ტერმინოლოგიური ძიებანი

ბადრი ცხადაძე – წიგნთმცოდნეობითი პალეოგრაფიული ტერმინები ქართულში..... 5

ცხოვრება და ლიტერატურა

რამაზ მეფარიშვილი – "მამულისა ჩვეულებისამებრ სვლა"..... 8

მოგონებები

ოთარ ოსაძე – პროფესიული ურთიერთკავშირი დიდი ძალაა9

მკითხველური ავტობიოგრაფიები

ნანა სვანიძე – ბავშვობიდან დღემდე 11

კორესპონდენციები

ნინო ოქროსცვარიძე ---- კიდეც ერთი მედიაკაბინეტი12

თამარ არათანაშვილი ---- ამერიკული კუთხე 13

მსოფლიო მწერლობის კორიფეები

ალექსანდრე ლორია – ჯონ მილტონი-წიგნიერებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი 14

იუბილე

გურამ თაყნიაშვილი – საუკუნოვანი შემოქმედი.....20

ზუმრუდ გოდერძიშვილი – ქართული ლექსის მეზვერე..... 23

რეცენზიები

მარიამ ბალახაშვილი – ფრიად საჭირო წიგნი25

გურამ თაყნიაშვილი – მშრომელი კაცის გულწრფელი სტრიქონები26

ალექსანდრე ლორია – წიგნის ხელმეორე სიცოცხლე..... 27

ალექსანდრე ლორია – წიგნში ჩაქსოვილი სული და გული30

ინგა ფილაური – მშვენიერი ოჯახური გარემოში 31

ქრონიკა

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები33

ნეკროლოგი

ხსოვნა ხანიერი (რ. გორგილაძე)34

Georgian Library, 2-08 (31)

Table of content

Слово и дело	4
--------------------	---

Терминологические изыскания

Бадри Цхадазе – Книговедческие палеографические термины в грузинском.....	5
---	---

Жизнь и литература

Рамаз Мепаришвили – «Обыкновенная стезя Отчизны»	8
--	---

Воспоминания

Отар Осадзе – Профессиональные взаимосвязи – большая сила	9
---	---

Читательские автобиографии

Нана Сванидзе – С детства и по сей день	11
---	----

Корреспонденция

Нино Окросцваридзе – Еще один медиакабинет	12
Тамар Аратанашвили – Американский уголок	13

Корифеи мировой литературы

Александр Лория – Джон Милтон – неутомимый борец за грамотность	14
---	----

Юбилеи

Гурам Такниашвили – Вековой творец	20
Зумруд Годердзишвили – Виноградарь стиха грузинсконо	23

Рецензии

Мариам Балахашвили – Весьма нужная книга	25
Гурам Такниашвили – Искренние строки труженника	26
Александр Лория – Вторая жизнь книги.....	27
Александр Лория – В книгу вплетенные душа и сердце	30
Инга Пилпури – Красота семейной среде	31

Хроника

Хроника грузинской библиотечной жизни: события и факты	33
--	----

Некролог

Память вечная (Р. Горгиладзе)	34
-------------------------------------	----



БИБЛИОТЕКА ГРУЗИИ, №2-08 (31)
Содержание

Talk and Deed 4

Terminological Exploration

Badri Tskhadadze – The Paleographic Book Study terms in Georgian 5

Life and Literature

Ramaz Meparishvili – „Mamulisa Chveulebisamebr Svlay“ –
(Following the Custom of Motherland“) 8

Recollectins

Otar Osadze – Professional Connections That Empower..... 9

Readers' Autobiographies

Nana Svanidze – From Childhood till Now..... 11

Correspondence

Nini Okrostsvardize–OneMoreMedia-office..... 12

Tamar Aratanashvili – American Corner..... 13

Coryphaei of World Literature

Alexander Loria – John Miltom – Tirekess Warrior for Literacy..... 14

Anniversaries

Guram Takniashcili – Centemial Creator..... 20

Zumrud Goderdzishcili – The Guardian of Georgian Poetry..... 23

Review

Mariam Balakhashcili - The Very Useful Book..... 25

Guram Takniashcili – Fair Lines of the Studios Man..... 26

Akexander Loria – The Second Life of the Book..... 27


Inga Pilauri – Beauty of Family Surroundings..... 31

Chronicle

The Chronicle of the Georgian Library Life: Events. Facts..... 33

Obituary

Everlasting Memory (R. Gorgiladze)..... 34



სიტყვა და საქმე

ჩვენ მეტყველებაში ლექსემა "სიტყვა" მრავალგვარად გამოიყენება, დამოუკიდებლად თუ სხვადასხვაგვარ კომბინაციებში. მისი პირველადი გაგება გულისხმობს ბგერათა ლოგიკურად შეთანხმებულ ერთიან ჯგუფს, რომელსაც აზრობრივი დატვირთვა აქვს, გამოხატავს საგანს, მოვლენას, მოქმედებას, გრძნობას და ა.შ. იგი მრავალგვარი ვარიაციით გვევლინება მეტყველების სხვადასხვა ნაწილებად – სიტყვა შეასრულა, სიტყვას გადავიდა, სიტყვა გატეხა, სიტყვა პირზე შეაშრა, თავის სიტყვაზე დგას, სიტყვა ჩამოუგდო, სიტყვაზე დაიჭირა, სიტყვა მოუჭრა, სიტყვა არ შეარჩინა, სიტყვა უკან წაიღო, სიტყვა შეუბრუნა, სიტყვა ჩამოართვა, სიტყვიერად შეთანხმდნენ, უსიტყვოდ დაეთანხმა, სიტყვის პატრონი კაცია, უსიტყვო, სიტყვაძუნნი, სიტყვაძვირი, სიტყვაგრძელი, სიტყვამოსწრებული, სიტყვა-სიტყვით თქმა, კაზმულსიტყვაობა, ტკბილსიტყვაობა, სიტყვებით თამაში, სიტყვის თავისუფლება, სიტყვანი და მრავალი სხვ. ბევრ შემთხვევაში "სიტყვა" მეტაფორული მნიშვნელობით გამოიყენება და განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, მხატვრულად მეტყველების იერს იღებს.

ჩვენს მეტყველებაში ცნება "სიტყვა" მხოლოდ ბგერათა შემადგენლობას არ გამოხატავს. "სიტყვას" უწოდებენ, მაგალითად, ადამიანის საჯაროდ გამოსვლას, მოხსენებას (სიტყვა წარმოსთქვა, სიტყვით გამოვიდა), ზოგ შემთხვევაში სიტყვა გაიგივებულია "თქმასთან", მას ხშირად ხმარობენ სათქმელის გაგებით ("სიტყვას ვიტყვი – ცამ ქუხილი დაიწყოს", "სიტყვა მაქვს სათხოვნელი", "ერთ სიტყვას ვიტყვი" და სხვ.).

განსაკუთრებით გავრცელებულია "სიტყვა" როგორც პირობის მიცემა, რაიმეს დაპირება, დათქმა, შეფიცვა, გაცხადება, ამ ნიშნით "სიტყვის" მიმართ ქართველ ხალხს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს, მას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, რაც კიდევაც გამოხატა საკმაოდ მოარულ გამოთქმაში – "სიტყვის გატეხას თავის გატეხა გერჩიოსო".

ჩვენ – საბიბლიოთეკო დარგის მუშაკები – განსაკუთრებულად ვაფასებთ სიტყვის შესრულების მომენტს. ჩვენთვის კანონია: თუ ვპირდებით მომხმარებელს, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა შევუსრულოთ, საქმით უნდა გავამყაროთ ჩვენი

ნათქვამი. უბრალოდ, ამას მოითხოვს არა მარტო ბიბლიოთეკარის ეთიკა, არამედ საბიბლიოთეკო მენეჯმენტის უმთავრესი პრინციპი. მაშასადამე, დაპირების (სიტყვის) შესრულება ჩვენი სამსახურებრივი მოვალეობაა.

დასამალი არაა: ჩვენ არა ვართ დაჩვეული არც მკითხველისა და არც ხელმძღვანელებისაგან ჩვენდამი ამგვარ დამოკიდებულებას. ბევრი სიტყვა ჰაერში გამოკიდებული დარჩენილა, ბევრი გადანყვეტილება არ შესრულებულა. სწორედ ამას ჰქვია – სიტყვა და საქმე დაშორებული არიან ერთმანეთსო.

სიტყვის შესრულება ერთ-ერთი ღირსებაა ადამიანისა, მით უმეტეს, როდესაც ეს სამსახურებრივ მოვალეობასთანაა დაკავშირებული.

საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია, რომ ბოლო 10-15 წლის განმავლობაში საბიბლიოთეკო საქმემ უმძიმესი დარტყმა განიცადა. მთელი ამ ხნის განმავლობაში გვესმოდა ხელმძღვანელი ორგანოებისგან, რომ ყველაფერი კეთდება ბიბლიოთეკების შემდგომი განვითარებისათვის – ეს სიტყვით, საქმით კი სრულიად საპირისპირო ხდებოდა – ბიბლიოთეკების დახურვა, გაუმართლებელი შეერთებები, შტატების განუკითხავად შემცირება, აბსოლუტური უსახსრობა, პროფესიულობის სრული იგნორირება, სპეციალისტთა მოშუადების გაუქმება, საკადრო პოლიტიკის მოშლა... სოფლების უმეტესობა უბიბლიოთეკებოდ დარჩა, სკოლებიდან გამოდევნეს ბიბლიოთეკები, განიავდა წიგნადი ფონდები, რაც კანონით სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენს. ყველაფერი ეს კეთდებოდა ერთგვარი "ოპტიმიზაციის" მოტივით.

ზოგ რაიონში სასოფლო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდები და ფუნქციები სკოლის ბიბლიოთეკებს გადასცეს. ვინც იცნობს ჩვენი სკოლების ბიბლიოთეკების პირობებსა და შესაძლებლობებს, ვერ გაიზიარებს ამ მოქმედების გონივრულობას. მართალია, არის ქვეყნები, საკმაოდ წარმატებულებიც, სადაც ამგვარი რამ ხდება, მაგრამ ძალიან პატარა დასახლებებში და იქ, სადაც სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მაღალია და ამგვარი რამ წინასწარვეა გათვალისწინებული.

ჩვენ აქამდე არ ვიცით, რა მოგვიტანა ამ რეორგანიზაციამ, რითი გაუმჯობესდა რაიონის საბიბლიოთეკო საქმიანობა, სადაც მხოლოდ ერთი

ბიბლიოთეკა დატოვეს და დანარჩენები სკოლებს შეუერთეს. საბიბლიოთეკო საზოგადოების წინაშე უნდა დაისვას ამოცანა – შესწავლილ და განზოგადებულ იქნეს ჩატარებული რეორგანიზაციის შედეგები, რათა ვიღვანოთ იმის მიხედვით, თუ რა ეფექტი მოგვცა მან. ჩვენთვის ცნობილია, რომ არც ერთ ქვეყანაში ამას სასიკეთო არაფერი მოჰყოლია და ყველგან ცდილობენ თავი დააღწიონ ამგვარ სისტემას, მაგრამ იქნებ ჩვენში გამოდგა ის? ვნახოთ, შევისწავლოთ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამ ბოლო დროს საბიბლიოთეკო საქმეში ერთგვარი შემობრუნება დაიწყო – საჯარო (მასობრივი) ბიბლიოთეკებისათვის სახელმწიფო სახსრების გამოყოფა ახალი წიგნების შესაძენად, რამდენიმე ბიბლიოთეკის კაპიტალური რემონტი, ზოგ-ზოგან კადრების მიმართ პროფესიული მოთხოვნების წაყენება, ცდები კვალიფიკაციის ამაღლების საქმიანობის წამოწყებისა; ყველაზე შესანიშნავი მოვლენაა დედაქალაქის მთავარი ბიბლიოთეკისათვის ახალი შენობის გადაცემა და აქ საუკეთესო პირობების შექმნა. სხვათა შორის, მერია დიდი ხანია ქალაქის ცენტრალურ ბიბლიოთეკას ახალი შენობით უზრუნველყოფას ჰპირდებოდა, და, აი, შეასრულა კიდევ დანაპირები. სწორედ ამას ჰქვია სიტყვის საქმით განაღდება.

ყველასათვის ცნობილია, რომ მმართველი პარტია არჩევნების წინ გამოვიდა ლოზუნგით – "ლაპარაკის ნაცვლად საქმე!" ეს დიდად სასიხარულოა, თუკი სიტყვების ნაცვლად აწი საქმეებით გაგვახარებენ, დაპირებებს შეგვისრულებენ. შეიმჩნევა ისიც, რომ ზოგი ხელმძღვანელის გამოსვლებში ბიბლიო-

თეკამაც ჰპოვა ადგილი, რაც მანამდე არასოდეს მომხდარა, მაგრამ განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ ქვეყნის პრეზიდენტმა კონკრეტულად განაცხადა მასწავლებლებთან შეხვედრაზე: "არც ერთი სოფელი ბიბლიოთეკის გარეშე, არც ერთი სკოლა უბიბლიოთეკოდ!" მისი ეს სიტყვა იმედით გვაგვებს. გვინდა ვირწმუნოთ, რომ ეს სიტყვა საქმედ იქცევა.

საბიბლიოთეკო საზოგადოება როდია რეფორმაციის წინააღმდეგი. ყველა სპეციალისტი აღიარებს გარდაქმნის აუცილებლობას, მაგრამ ეს არ უნდა ხდებოდეს ასე ნაუცბადევადად, გაუზომ-აუნონებლად, არსებული ვითარების გაუთვალისწინებლად, საქმის შეუსწავლელად და ყოველგვარი გეგმის გარეშე.

ყოველივე ამის განხორციელება შეუძლებელია, თუ თვითონ საბიბლიოთეკო საზოგადოებრიობამ, სხვადასხვა დონის ხელმძღვანელებმა, ბიბლიოთეკების მესვეურებმა, სპეციალისტებმა ხელი არ გამოიღეს. უნდა დასრულდეს პროფესიონალ სპეციალისტთა უგულვებლყოფა, მათი აზრის გაუთვალისწინებლობა, მათი სიტყვის არად ჩაგდება, რაც აქამდე ხდებოდა და რასაც დღესაც ვხედავთ.

საბიბლიოთეკო დარგის ყველა მუშაკი ვალდებულია, იყოს მოვლენების არა პასიური მეთვალყურე, არამედ აქტიურად მოქმედი პიროვნება, მომთხოვნი, კატეგორიული, სამუშაო პროცესებში ღრმად ჩახედული, სიახლეთა მაძიებელი, საქმის სრულყოფისა და გაუმჯობესებისათვის მებრძოლი.

ტიტონოლოგიური კიეზანი

ბადრი ცხადაძე

წიგნოსოლოგიით-პალეობრაფიული ტერმინები ქართულში: წიგნაი, უბის წიგნი || უბის წიგნაკი

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ორი სიტყვისგან შემდგარი კომპოზიციური ტერმინი უბის წიგნი ან უბის წიგნაკი არ არსებობს. ალორძინების ხანის მწერლობაშიც, მე-19 საუკუნემდე, ეს სიტყვაფორმები ქართულში არ ჩანს. ჩვენ წიგნს და მისგან ნაწარმოებ წიგნმცოდნეობით-პალეოგრაფიულ ტერმინებს სპეციალური წერილი მივუძღვევით, რომელიც "საქართველოს ბიბლიოთეკის" 2004 წლის მესამე ნომერში დაიბეჭდა [1.35-39]. ამიტომ ამ სიტყვა-ტერმინის შესახებ ბევრს არას ვიტყვით, ოღონდ ერთს შევნიშნავთ: თუ წიგნი ძველ ქართულში საყოველთაოდ გავრცელებული

სიტყვაა, წიგნაკი პირიქით – ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში არსად არ გვხვდება. შდრ. წიგნაი: "და კვალად მანდავე წარმოვიდა კაცი იგი ღმრთისაი მოსე და ესე წიგნაი მისდა წარმოვიციე-მია" [2, 264]. "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან" დამონმებული ეს ციტატა ცხადყოფს, რომ წიგნაი იგივე წიგნაკია, წერილია: წიგნაი წიგნაკი. ასე რომ, იგი ძველ ქართულ წერილობით ტექსტებში უნდა არსებულიყო "პატარა წიგნის", "მცირე მოცულობის წიგნის", "ბროშურის" მნიშვნელობით. წიგნაკს, როგორც სიტყვაფორმას, მხოლოდ სულხან-საბა ორბელიანი იცნობს და მას ასე განმარტავს: წიგნაკი

ნიგნცულა ZABCD [3, 375]. იმავე "სიტყვის კონაში", სხვა ადგილას, კერძოდ, წერილ სიტყვის განმარტებისას, მას ასე განსაზღვრავს. "ნიგნაკი – ცუდთა ნიგნთა ვისასმე" [3, 372]. ამრიგად, ნიგნაკი ცუდი ნიგნი ყოფილა. ამ განმარტებიდან არ ჩანს, ნიგნაკი რატომაა ცუდი ნიგნთან შედარებით – ნაკლულია გვერდების მიხედვით თუ სხვა... ნიგნაკი რომ სულხან-საბას მიერ შექმნილი სიტყვა არაა, აშკარაა – იგი მანამდეც უნდა არსებულებოდა ქართულ ენაში. სამწუხაროდ, ნიგნაკის, როგორც ძველი პალეოგრაფიულ-ნიგნცოდნეობითი ტერმინის შესახებ, ყურადღებას არ ამახვილებენ ქართველი პალეოგრაფები (ივ. ჯავახიშვილი, მ. კარანაძე...).

ჩვენი აზრით, ნიგნაკი "ნიგნცულა" იმიტომ იყო, რომ ნიგნისაგან განსხვავებით, იგი ყოველმხრივ → ნაკლული უნდა ყოფილიყო. ამრიგად, ნიგნაკი მხოლოდ და მხოლოდ "ნაკლულოვანებით" განსხვავდებოდა ნიგნისაგან.

დავუბრუნდეთ პირველთქმულს. რას ნიშნავს უბის ნიგნაკი, კერძოდ, უბის ნიგნაკისეული უბე ლექსემა?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უბის ნიგნაკი, როგორც დამოუკიდებელი სალექსიკონო ერთეული და ტერმინი მე-19 საუკუნემდე არ ჩანს. რაც შეეხება უბეს, იგი ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ფრიად გავრცელებული სიტყვაა და ნიშნავს: "წიაღს, კალთას, ფერდს, ფოსოს, ყურეს" [4, 416]. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით კი, "უბე სიღრმეა, რომელსაც მსოფლიოდ წიაღს უწოდენ. მისივე ცნობით, უბე ლარია, ოთხკუთხი, ირიბად შეკეცილი – ZA" [3, 152]. დ. ჩუბინაშვილის თქმით, "უბე – წიაღია, აგრეთვე სამოსის გვერდზედ მიკერებული შთასადები ჯიბე, ბარტყი, აზღუდი, ხიშტაკი ნიფხვისა: пазух, ломо, бокавой карман. Кли́н у нортков; იქვე დამონშებულია უბის შემცველი კომპოზიტური აღნაგობის სხვა გამოთქმებიც: უბის საათი – карманные часы; უბე ზღვისა ან მდინარისა, залив, рукав реки, моря; უბე ნავისა – каюта корабля; უბე ეკიპაჟისა, внутренность экипажа [5, 1236].

ანალოგიურია ნ. ჩუბინაშვილის განმარტებაც: "უბე – წიაღი, სამოსელთ გვერდზედ მიკერებული შთასადებელი, пазух, боковой карман || ფსკერი ნავთთა, ანუ ხომალდთა || ეტლთა და ურემთა შინაგანი შთასადებელი, ანუ სასხდომი, корпус экипажей, кареты, коляски и пр. || წიაღი ანუ ტოტი ზღვისა და მდინარისა, залив [6, 382].

ქართული ენის აღმოსავლურ კილოებში, კერძოდ, კახურ-ქიზიყურში უბე ორი მნიშვნელობით იხმარება:

1. ურმის უბე, ურმის ორი ხელნა, რომლებზედაც ასხმულია სხვა ნაწილები;

2. ნიფხვის უბე ნიფხვის ილიაში, ლაჯებშიუა ჩაგდებული ნაჭერი, რომ ამ ადგილას ქვედა საცვალი განიერი იყოს და ადამიანს სიარულში

ხელი არ შეუშალოს [7, 177].

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (რვატომეული) შეტანილია "უბის" შემცველი კომპოზიტური გამოთქმები: 1) უბის ჯიბე ("გულმკერდთან, ტანისამოსზე დაკრებული ჯიბე"), 2) უბის ნიგნაკი (11 ნიგნი) უბის ჯიბით სატარებელი ჩასანერი ნიგნაკი, 3) თვალის უბე – იგივე თვალის უბე, მნიშვნ. 1" [8, 1393].

ალსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ძველ ქართულში, კერძოდ, "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" უბე ტოპონიმად გვევლინება: "ალაშენა მონასტერი და უწოდა სახელი მისი უბეი", [2, 215]. ასე წარმოიშვა უბის მონასტერი [9, 80], შემდგომში უბისის ტაძარი ("სოფელი უბისა – ზემო იმერეთში, ხარაგაულის რ.): უბე უბეი (ნათეს. ბრუნვა) → უბისი|იებისა. რა თქმა უნდა, ადგილს უბეი სწორედ იმის გამო შეერქვა, რომ გარეგნულად ფერდს, ყურეს, უბეს წარმოადგენდა.

ძველ ქართულშივე უბე სიტყვისგან სიტყვასანარმოებელი ბოლოსართების მეშვეობით ნაწარმოებია ისეთი ახალი ლექსიკური ერთეულები, როგორიცაა: უბეანი|უბეიანი – ყურე, უბე ("უკუეთუ არნ წარსადინელი მისი ღელესა ვინა უბეანსა (შატბ. კრებ. 89, 19; უკუეთუ არნ წარსადინელი მისი ღელესა, ვინა უბეანსა, აღმოავსის ადგილი იგი". კაცისა აგებ. 168, 28-29 [10].

თანამედროვე ქართულსა და მის დიალექტებში – ურ ბოლოსართის დართვით ნაწარმოებია უბეურ სიტყვაფორმა, რაც ნიშნავს ოთხკუთხ, ირიბად გასაკეც ქსოვილს, თავშალს. მაგ., უბეური ბაღდადი – უბეური თავშალი [8, 1396]. ქართულ კილოშიც უბეური კვადრატულს, ოთხკუთხს აღნიშნავს [11, 52]. ქიზიყურშიც, "უბეური კვადრატული, ერთი განით ირიბად მოკეცილი და შემდეგ გადაჭრილი ნაჭერი გამოდის. უბეურს მოსახვევად, თავსაბურავად ჭრიან, ერთი უბეური ერთი მოსახვევია", განმარტავს სტ. მენთეშაშვილი [7, 177].

ასე რომ, უბის ნიგნაკი, უბის ნიგნი ადამიანის უბესთანაა დაკავშირებული, უბის ნიგნაკი ისეთი ოთხკუთხი ნიგნია, რომელსაც ყოველთვის, ყოველდღე უბით, უბის ჯიბით ატარებ, რომელიც უბეში, უბის ჯიბეში ჩაეტევა. ამ მხრივ უბის ნიგნაკი იგივეა, რაც Bloc-notes... მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართულში ბლოკნოტის მნიშვნელობით უბის ნიგნაკი იხმარება. ი. გოგებაშვილი ერთ ადგილას წერს: "რა კარგი იქნებოდა, რომ მუდამ ზაფხული ყოფილიყო! – ეს სურვილიც ნიკოს მამამ..., უბის ნიგნაკში ჩაანერინა". მწერალი და საზოგადო მოღვაწე ნ. ლორთქიფანიძეც უბის ნიგნაკს ხმარობს: "ჩემ უბის ნიგნაკში თქვენ ჩაგახედებთ" [იხ. გვ. 1393].

ჩვენი წინაპრები ტრადიციისამებრ საიდუმლო დოკუმენტს, მათთვის ძვირფასს, სასურველს, სანატრელს, საოცნებოს უბეს ანდობდნენ. ცნობილია, რომ სანკტ-პეტერბურგში ნიკოლოზ ბარა-

თაშვილის პოეტური კრებული, პოეტ-ავტორისავე შედგენილი და ხელით ნაწერი, ეკატერინე ჭავჭავაძემ უბით ნატარები ჯერ კიდევ სტუდენტ ილია ჭავჭავაძეს გადასცა. იმ მიზნით, რომ "ჩემზე უფრო მეტად უპატრონებო". უბით ნატარები ხელნაწერი პოეტური კრებულის გადაცემა-გაჩუქება, რა ძნელი უნდა ყოფილიყო ეკატერინესთვის, ადვილი წარმოსადგენია".

ჩვენი წინაპრები უბით ნატარებ "ნიგნს" – წერილს, საიდუმლო ფირმანს არავის, თუნდაც წყალს რომ არ ანდობდნენ, აკაკი წერეთლის "ბაში-აჩუკიდანაც" კარგად ჩანს: როგორც ვიცით, ადიდებულ არაგვს გადარჩენილ-გამოღწეული და ცხენდამხრჩვალი იმერელი ჭაბუკი ზაალ არაგვის ერისთავს მიახლებისთანავე ეუბნება: "თქვენმა სიძემ გაახლათ ჩემი თავი, ბიძინა ჩოლოყაშვილმაო.

– რა ამბავია?

– ნიგნი მოგართვათ და იქიდან გაიგებთ ყველაფერს, ჩემო ხელმწიფე! – ამოიღო უბიდან წერილი და მიართვა... – ესეც ქალბატონმა მოართვა დიდ ქალბატონს...

– რა საკვირველია, რომ არ დაგსველებია?..


– გასანთლულ ტილოში გახლდათ გახვეული!" [12, 128].

საფიქრებელია, დიდი დავით აღმაშენებლის დროსაც, დიდი თამარის ხანაშიც, უფრო ადრეც..., "ვეფხისტყაოსნის" გმირებიც ასევე უგზავნიდნენ და "უბით დაატარებდნენ" გასანთლულ ტილოში შეხვეულ წერილებს, უბის ნიგნებს, უბის ნიგნაკებს, თუმცა მაშინ ამ ტერმინით არ მოიხსენიებდნენ (მხოლოდ "ნიგნსა"-ს თუ უწოდებდნენ...).

ჩანს, უბის ნიგნის||უბის ნიგნაკი ძველი, საერთო ქართველური კულტურის ნიგნმცოდნეობით-პალეოგრაფიული ტერმინი ყოფილა. უბის ნიგნაკი დღესაც განაგრძობს არსებობას ამავე ძირძველი მნიშვნელობით.

მითითებული ლიტერატურა:

1. ცხადაძე ბ. ნიგნმცოდნეობით-პალეოგრაფიული ტერმინები ქართულში: ნიგნი, სანიგნე, ნიგნოსაცავი, მნიგნობარი, ნიგნადი||ნიგნედი// საქართველოს ბიბლიოთეკა, №3, 2004.
2. მერჩულე გიორგი. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება: ძველი ქართული მოთხრობა, V-XII საუკუნეები //შეადგინა, წინასიტყვა დაურთო და რედაქცია გაუკეთა რევაზ თვარაძემ. – თბ., 1979.
3. ორბელიანი სულხან-საბა. თხზულებანი: ტ. IV (სიტყვის კონა) ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ილია აბულაძემ. – თბ., 1966.
4. აბულაძე ი. ძველი ქართული ენის ლექსიკონი: (მასალები). – თბ., 1973.
5. ჩუბინაშვილი დ. ქართულ-რუსული ლექსიკონი: მეორე გამოცემა აღდგენილი ოფსეტის წესით./სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ. – თბ., 1984.
6. ჩუბინაშვილი ნ. ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ. /აღ. ლლონტის რედაქციითა და გამოკვლევით. – თბ., 1961.
7. მენტეშაშვილი სტ. ქიზიყური ლექსიკონი. /ვ. თოფურიას რედაქციით. – თბ., 1943.
8. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: (რვატომეული) /არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. – თბ., 1954-1964.
9. ჯავახიშვილი ივ. ქართული დამწერლობათა – მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია: მეორე გამოცემა. – თბ., 1949.
10. სარჯველაძე ზ. ძველი ქართული ენის ლექსიკონი: (მასალები). – თბ., 1995.
11. ჭყონია ი. სიტყვის კონა: საბა-სულხან ორბელიანის და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში გამოტოვებული სიტყვები. – სანკტ-პეტერბურგი, 1910.
12. წერეთელი ა. ბაში-აჩუკი // რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად: ტ. III, მხატვრული პროზა. – თბ., 1989.



ცხოვრება და ლიტერატურა

რამაზ მეფარიშვილი

**„მამულისა ჩვეულებისამებრ
სლვაი“**

საქართველოს გადაგვარების მონადინენი ყოველთვის გააფთრებით ებრძოდნენ ძველი ქართული მწერლობის ნიმუშებს, რაც ფაქტობრივად, ქრისტიანული სარწმუნოების წინააღმდეგ ბრძოლა იყო.

ქართველი კაცის ბუნებისათვის შესატყვისი ორიენტაციაა "ჩვეულებისამებრ მამულისა სლვაი" ქრისტიანობის გზაზე, რაც თავისთავად გულისხმობს ქვეყნის ტერიტორიულ და ეროვნულ მთლიანობას. ეს იდეა მრავლისმეტყველად არის გამოთქმული "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში".. ამიტომაც დღეს, როდესაც ისტორიულ საქართველოს თავისი მიწა-წყლის ორ მესამედზე მეტი დაკარგული აქვს, ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების, საქართველოს ისტორიის სწავლებას განსაკუთრებული ძალისხმევა სჭირდება ქართული "მზაობის" ჩამოსაყალიბებლად. ამ "მზაობისათვის" ხომ მართლაც შეუცვლელია ჩვენთვის ეს მარადი ფასეულობანი.

ძველი ქართული მწერლობა მეტად საყურადღებო მასალას იძლევა ჩვენი ევროპელობის შესახებ, დღეს რომ აგრერივად ვინონებთ თავს. არადა, ევროპელები ვართ IV საუკუნიდან მაინც, როცა საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა; VIII საუკუნიდან მაინც, როცა გრიგოლ ხანძთელმა მოიხილა ბიზანტიის სამწიგნობრო კერები და ქართული საგანმანათლებლო სისტემა იქაურს შეუზავა; XII საუკუნიდან, როცა დავით აღმაშენებელმა დააფუძნა გელათის აკადემია, როცა მთანმინდელები მოღვაწეობდნენ ათონის მთაზე... ევროპულ მსოფლმხედველობისათვის, IV საუკუნიდან მოყოლებული, არაერთხელ დაიღვარა ქართული სისხლი, ვიდრე 1989 წლის 9 აპრილამდე... ეს ერთი ხაზია, ერთი გზასავალია. ეს არის "ჩვეულებისამებრ მამულისა სლვაი".

"ჩვეულებისამებრ მამულისა სლვაი" ყოველთვის ეროვნულ კონცეფციას შეიცავს, — ასე განმარტავს ივანე ჯავახიშვილი. ამ სიტყვებშია გაცნაურებული ერის ისტორიული გზა-კვალი. ეს არის საფუძველთა-საფუძველი ჩვენი მოდგმისა. წარსულთან ასეთი მიმართება განსაკუთრებით გვმართებს დღეს, როდესაც ბევრი საკითხი ახლებურად გაიზრდება.

დროის თვალსაზრისით, ძალზე შორსაა ჩვენგან იოანე საბანისძე, მაგრამ ის დღესაც გვახსენებს, გვაფრთხილებს, რომ არსებობს ზედროული პრობლემები, რომ ამა სოფლისა შვილნი პასუხს აგებენ ერის მრავალსაუკუნოვანი წარსულის წინაშე, რომ ერისთვის ათასი წელი, ჭეშმარიტად, ერთი დღეა, რომ "ჩვეულებისამებრ მამულისა სლვაი" ყველა დროისთვის არსებითია!

ხშირად ამა თუ იმ ეპოქის თავისებურებებს სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური თვალთახედვით ვახსიათებთ და გვაზინყვდება, რომ ეპოქა, ნებისმიერი სახელმწიფოსათვის არის ფსიქოლოგიური რაობა, დიმიტრი უზნაძის სიტყვებით — ეროვნული "მზაობა". სადღეისოდ, კონკრეტულად, საკითხი ასე დგას: რამდენად შეესაბამება ჩვენი დღევანდელი ფსიქოლოგია ჩვენსავე ბუნებას? ამის ახსნა მხოლოდ ლოგიკით არ შეიძლება, რადგან ეპოქა ფსიქოლოგიური რაობაა და ადამიანის ცხოვრების სირთულე არ დაიყვანება მხოლოდ რაციონალურზე, მასში ბევრია ირაციონალური. მაღალსულიერება ძნელად მისაწვდომია, რადგან სულითაა საცნაური, ხოლო მექანიკური თვალთახედვით, ლოგიკით შეიძლება ყველაფერს მოექებნოს პასუხი. ასეთი მიდგომა დაუშვებელია, უწინარესად, ლიტერატურისადმი.

ძველი ქართული ლიტერატურის სწავლებისას უნდა გავითვალისწინოთ ენობრივი ბარიერი, შუასაუკუნეობრივი ესთეტიკა, ფსიქოლოგიური რაობა. ამ სამთაგან რომელიმეს დაძლევა თუ ვერ მოხერხდა, ის ძარღვი განყდება, რომელიც წინაპართა მაღლთან გვაკავშირებს. ძველი მწერლობის ძეგლების უშუალოდ შესწავლისას, ვიდრე ახალგაზრდას არ გავაცნობთ, არ დავებმარებით იმდროინდელი ესთეტიკისა და სახისმეტყველების გააზრებაში, ვერ მოახერხებს მასალის ღრმად ათვისებას. ახალგაზრდების საყურადღებოდ პასუხი უნდა გაეცეს ძირითად კითხვას: როდენ განსხვავდება XXI საუკუნის ადამიანის ესთეტიკური შეხედულებები ჩვენთვის საინტერესო ეპოქის მსოფლმხედველობისაგან.

პასუხი უნდა გაეცეს "ვინა ვართ, საიდან მოვდივართ"... და საით მივდივართ?! ადამიანი ღმერთს ხომ ფიქრისთვის გაუჩენია. ამის კვალო-

ბაზე, ფიქრიც მრავალგვარია, მაგრამ გააჩნია, რას ფიქრობ, რა გიხარია, რა გინდა, რისკენ ან ვისკენაა მიმართული შენი მზერა! ფიქრობენ კი ამაზე? პასუხი არ ვიცი და არ გვეცოდინება, ვიდრე ქართული ლიტერატურისა და ისტორიის მიმართებაში არ გადავხედავთ ჩვენს მიდგომას.

დღევანდელობამ ბევრი მოვლენა სხვა კუთხით დაინახა და, აბსოლუტურად განსხვავებული შეფასება მისცა მას, და ეს განსხვავებულობა ჩვენთვის ყოველთვის სასარგებლო როდია! საქართველოში თითქმის აღარ არის ოჯახური სიძარბაისლე. ეს კი ხელს უშლის ღირსეული მემკვიდრეობის აღზრდას, არადა, აღზრდა ხომ ღვთაებრივი სიკეთეა. ამიტომ ღალადებდა ჩვენი გენიოსი წინაპარი "ლამაზად შვილის გამზრდელი დედა მიცვნია ღმერთადაო"... დღეს კი, რაღაცნაირად დანაწევრდა ოჯახური შენივთება. ამან კი არაერთ სხვა ზიანთან ერთად, ენის დანაგვიანება გამოიწვია უმსგავსო შესიტყვებებით. ერის ზნეობრიობას, უწინარესად, ოჯახი და ქალი განსაზღვრავს, "მრუში აფუჭებს თავის მოდგმას," — ბრძანებს წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი.

სამშობლოს შემეცნება აბსოლუტურ ჭეშმარიტებას უნდა ეფუძნებოდეს, წინააღმდეგ შემთხვე-

ვაში, ჩვენი გონება და, შესაბამისად, ქმედება დანაწევრებული იქნება. ასეთებთან ეროვნულ მზაობაზე, ქართულ ჩუქრთმაზე ზემორე საუბარი მეტისმეტად ზედმეტი გამოგვივა. ამდენად, როგორც არასდროს, ისმის კითხვა: "კიდევ რა უნდა გამეკეთებინა ჩემი ვენახისათვის და რა დავაკელი? და რატომ გამოიღო ხენეში ნაყოფი, როცა სავსე მტევანს ველოდი? ამის მიზეზი, უთუოდ გულგრილობა და იმის დავინწყებაა, რაზეც იოანე საბანისძე გვაფრთხილებდა: "არ აღვერიოთ ერსა ურიცხვსა... არ დავივიწყოთ მამულისა ჩვეულები-სამებრ სლვაი".



მოზონეპეპო



ოთარ ოსაძე

პროფესიული ურთიერთკავშირი დიდი ძალაა



გასული საუკუნის 70-იან წლებში, როცა საკავშირო კულტურის სამინისტროს დადგენილებით, ე.წ. "საბჭოთა საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაცია" მთელი ქვეყნის მასობრივი ბიბლიოთეკების გამოყენებისათვის სავალდებულო გახდა, საქართველოდან მოსკოვში რამდენიმე კაცი მიგვავლინეს საკავშირო თათბირზე. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი არ იზიარებდა ამ საკლასიფიკაციო სისტემას, თათბირის მონაწილენი ყველა ერთხმად აღიარებდა მისი დანერგვის აუცილებლობას.

პირველი საკლასიფიკაციო ცხრილები 1972 წელს გამოქვეყნდა. ჩვენში, სხვა რესპუბლიკებთან შედარებით, ისინი საკმაოდ გვიან ითარგმნა (თარგმნეს ლ. ზამბახიძემ და ბ. მაზა-

ნაშვილმა), რედაქტორობა ცნობილ ბიბლიოთეკარ-ბიბლიოგრაფ გუია ბერულავას მიენდო. მან თანარედაქტორად მომიხმო, რის გამოც ჩვენს შორის მჭიდრო კოლეგიალური ურთიერთობა დამკვიდრდა. საქმემ მოითხოვა, შემდეგ ერთად გვემოგზაურა საქართველოს რაიონებში და პრაქტიკული დახმარება გაგვეწია მასობრივი ბიბლიოთეკებისათვის, გარდა ამისა, სისტემატურად მიწვედა ლექცია-სემინარების ჩატარება კულტურის სამინისტროს კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედ კურსებზე.

ერთხელ, როცა ბბკ-ს ავ-კარგვიანობაზე საუბარი დავასრულე (ამ ცხრილებს რუსული აბრევიატურით ББК ერქვა და ჩვენც ქართულად მას ამგვარად ვიხსენიებდით), ცენტრალური ბიბლიოთეკების დირექტორებს, რომლებთანაც მქონდა შეხვედრა ამ დროს, წინადადება მივეცი, დაესვათ შეკითხვები ან თავიანთი აზრები გამოეთქვათ. ზოგმა რა

მკითხა და ზოგმა რა. ერთ-ერთმა მათგანმა ჩემი "ცოდნა" შეაქო, რა კარგად ვყოფილვარ თურმე დაუფლებული ამ "ბე-ბე-კა"-ს. მაშინ ცოტათი კი წავიტრაბახე — თუ მარტო ეს "ბე-ბე-კა" ვიცი და სხვა არაფერი, დალუპულა ჩემი საქმე-მეთქი. ახირებული მსმენელი ჩამეძია და ჩამეძია — მაინც, რა იცით კიდეო, იძულებული გავხდი ჩამომეთვალა ცხოვრების გზაზე ჩემი ცოდნის არსენალში რაც მქონდა დაგროვებული, ზოგი შეგნებულად, ზოგიც ჩემდა უნებურად. და ბოლოს დავუმატიე: ერთსაც ისეთ ხელობას ვფლობ, რომელიც დღეს საქართველოში თითქმის აღარავინ აღარ იცის-მეთქი. ცხადია, ცნობისმოყვარე მსმენელები, რომელთა უმრავლესობა ჩემი ყოფილი სტუდენტები იყვნენ, ძალზე დაინტერესდნენ, რა ხელობაა ასეთიო, მაგრამ მე არ ვამხელდი. ვინ რა იფიქრა და ვინ რა. ამ დროს ზარის ხმა გაისმა და აუდიტორია ისე დავტოვე, მათი ცნობისმოყვარეობა არ დამიკმაყოფილებია.

გავიდა დრო და ზესტაფონში მომიწია ჩასვლა. ცხადია, ცენტრალურ ბიბლიოთეკაში შევიარე, სადაც უმეტესად ჩვენი ყოფილი სტუდენტები მუშაობდნენ. მათთან ხანგრძლივი საქმიანი საუბრის შემდეგ, როცა უკვე წამოსვლა დავაპირე, ბიბლიოთეკის დირექტორმა ნაწული კაპანაძემ მთხოვა, ბოლოს და ბოლოს, გავგენდო მათთვის ის საიდუმლო, რომელიც თავის დროს არ გავამჟღავნე. თურმე მათ დღემდე აინტერესებთ ამის შეტყობა. მისი ცნობისმოყვარეობა დავაკმაყოფილე და თანაც ვუთხარი, რომ ეს ხელობა სწორედ ზესტაფონში შევისწავლე. თუ როგორ მოხდა ეს, ამის შესახებ საკმაოდ ვრცლად მაქვს მოთხრობილი ჟურნალ "გზა"-ში (2005, №39) დაბეჭდილ ინტერვიუში, რომელიც ამ ჟურნალის კორესპონდენტმა ლელა ჭანკოტაძემ აიღო ჩემგან. ამ საუბარში ყველა საქმიანობაზე მაქვს ნათქვამი და ახლა ამაზე არ შევჩერებ თქვენს ყურადღებას, მაგრამ ერთი კი მინდა განვაცხადო, ალბათ არაერთხელ მომეცემა საშუალება, ჩემს ყოფილ სტუდენტებს დაუსწრებლად გამოველაპარაკო, რაკი ჩვენმა მეგობარმა და კოლეგამ ალექსანდრე ლორიამ სხვა თავგამოდებულ სპეციალისტებთან ერთად, საშვილიშვილო საქმეს თავი მოაბა და პროფესიული ჟურნალის დაარსება მოახერხა. ამგვარ ჟურნალზე ერთ დროს ოცნებობდნენ ჩვენი სახელოვანი სპეციალისტები: ივანე ციციშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, გიორგი ბაქრაძე, გიორგი გიორგიძე, იოსებ ორჯონიკიძე და სხვანი და სხვანი. პირადად ჩემთვის თუნდაც რას ნიშნავს, რომ ასე შემიძლია "შეგხვდეთ" თქვენ, კოლეგებო, ჩემო ყოფილო სტუდენტებო, სწორედ იმ დროს, როცა ჩვენი ურთიერთობის სხვა რაიმე საშუალება აღარ მაქვს. არადა, მიმოსვლას მოკლებულს, ძალიან მენატრება თქვენთან შეხვედრები, საუბარი, მეცადინეობა, თქვენი შეკითხვებით გამოწვეული პროგრამიდან გადახვევები.

სხვათა შორის, მე შენახული მაქვს თქვენი გამოკითხვების შედეგები — გონივრული თუ კურიოზული. თუმცა ზოგ კოლეგას გამართლებულად არ მიაჩნია სტუდენტების გაცნობის ჩემული მეთოდი, პირველ კურსზე, პირველივე შეხვედრის დროს რომ მივმართავდი. სტუდენტებს ვთხოვდი, წერილობით ეპასუხათ: რა არის წიგნი, რა წიგნი წაიკითხეთ ბოლოს და, რაც განსაკუთრებით უცნაურად ეჩვენებოდათ სტუდენტებსა და კოლეგებს — აღწერეთ ოთახი, რომელშიც თქვენ იმყოფებით და აგრეთვე თქვენს გვერდით მყოფი თანაკურსელი. მიზანი ერთი იყო — გამეგო, ვისთან მქონდა საქმე, რა უნარი გააჩნია, როგორ აზროვნებს და წერს. პირობას ვაძლევი, არავის არაფერს ვაფუძვანებდი და ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ უექველად დავუბრუნებდი მათ თავიანთ ნაწერებს. მინდა გავიხსენო ორიოდე პასუხი; ერთი წერდა: არ მიყვარს წიგნის კითხვა, მე თვითონ ვწერ წიგნსო; მეორე წერდა: ბოლო წიგნი, რომელიც წაიკითხე "რობინზონ კრუზო" იყოო, მაგრამ იქვე დასძინდა — ინგლისურადო (ეს უკვე სხვაგვარ მონაცემებზე მიმითითებდა); მაგრამ ახლაც არ ვიცი, რას უნდა ნიშნავდეს ოთახის აღწერის დროს ერთ-ერთი პირველკურსელის მინაწერი: "მე ახლა იმაზე ვოცნებობ, ეს ოთახი ნეტავი ჩაინგრეს და ყველანი თან ჩაგვიტანოსო". ბევრი სხვა რამის გახსენებაც შეიძლება, მაგრამ ეს ძალიან შორს წავიყვანს. სხვა დროს მინდა ამაზე საგანგებოდ დავწერო და გამოვაქვეყნო, თუკი რედაქცია ამის საშუალებას მომცემს.

დიდი სურვილი მაქვს, ჩემს მკითხველებს ვესაუბრო იმაზე, თუ რა გზა გავიარე, როგორი ცხოვრების მონმე გახლდით, როგორ მოვედი აქამდე, სადაც ახლა ვარ. თუ რაღაც ბედი არა, ვინ იცის, სულ სხვაგვარად წარმართულიყო ჩემი ცხოვრება. მაგრამ ამ თვალსაზრისით მე არაფერს ვნანობ. სრულებითაც არ ვნაღვლობ, რომ ეს გზა ავირჩიე. პირიქით, თავიდან რომ ვინყებდე ცხოვრებას, სწორედ ასეთივე სავალი გზით ვივლიდი, გზით, რომელმაც ათასობით ადამიანი გამაცნო, საქართველოს ყველა კუთხე, ყველა რაიონი და თითქმის ყველა სოფელი მომატარა. სწორედ ეს არის ყველაზე დიდი სიმდიდრე, რომელიც უკვე რვა ათეულ წელს გადაშორებულ კაცს დამრჩა.

ჩემი ნაამბობიდან კარგად ჩანს, რაოდენ ფართო მასშტაბებით ტარდებოდა საქართველოში საბიბლიოთეკო კადრებთან ურთიერთობა, განსაკუთრებით იმ სპეციალისტებთან, რომლებიც უშუალოდ ბიბლიოთეკებში იყვნენ დასაქმებულნი. ამასთან დაკავშირებით მინდა მოკლედ ვიამბოთ საქართველოს კულტურის მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ მუდმივმოქმედ კურსებზე, მით უმეტეს, რომ ამჟამად ხელმძღვანელობას გააგონებაც კი არ უნდა მეთოდურ საქმიანობაზე,



არადა, მერწმუნეთ, თუკი ჩვენი ქვეყანა ერთ-ერთი მონინავე იყო ამ მიმართულებით, ამაში უდიდესი წვლილი სწორედ ამ საქმიანობას მიუძღოდა. პროფესიული დაოსტატების უგულებელყოფამ უკვე იქამდე მიგვიყვანა, რომ ჩვენი საბიბლიოთეკო საქმე, თუმც კი ცდილობს ამისგან თავის დაღწევას, ვერ ახერხებს თანამედროვეობას შეუწყოს ნაბიჯები. ადრე ეს ხერხდებოდა დრო და ჟამის შესაფერისად, მაგრამ მოვიდა ახალი დრო და, ცხადია, სიახლეთა დანერგვაა საჭირო, მაგრამ არა ყველაფრის უგულებელყოფა.

როგორც ცნობილია, 1972 წელს დაარსებული აღნიშნული კურსები 1992 წელს დაიხურა და მას შემდეგ, ფაქტობრივად, მოისპო შემდგომი პროფესიული დაოსტატების ყოველგვარი საშუალება. მით უფრო დამძიმდა მდგომარეობა, რომ გაუქმდა ახალგაზრდა კვალიფიციურ სპეციალისტთა მომზადება უმაღლეს სასწავლებლებში.

თავის დროს კვალიფიკაციის ამალღების მუდმივმოქმედი კურსები ნამდვილად დიდ საქმეს აკეთებდა. ოც წელს არსებობდა და მთელი ამ ხნის განმავლობაში მისი უცვლელი ხელმძღვანელი მეტად ენერგიული, საქმის ერთგული და თავდადებული პიროვნება გრიგოლ (გრიშა) კიპაროიძე იყო, რომლის მუდმივ საზრუნავს წარმოადგენდა ის, რომ კურსების მუშაობა ისე წარმართულიყო, კვალიფიკაციის ამალღებასთან ერთად, მსმენელებს სამუდამოდ დამახსოვრებოდათ აქ ყოფნა. ამიტომაც მისი ინიციატივით კურსებზე სხვადასხვა ღონისძიებებსაც ატარებდნენ: აწყობდნენ ექსკურსიებს ქალაქსა თუ ქალაქგარეთ (მცხეთა, ყინწვისი, წინანდალი და სხვ.), კულტურის სამინისტროს განკარგულებით, კურსების მსმენელები უფასოდ ესწრებოდნენ საოპერო თუ დრამატიულ წარმოდგენებს; კურსებს გააჩნდა საერთო საცხოვრებელი, მუშაობდა იაფფასიანი სასადილო და სხვ. კურსების პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელები წერილობით ტოვებდნენ თავიანთ შთაბეჭდილებებს,

წინადადებებს, შეხედულებებს, რასაც ხელმძღვანელობა ითვალისწინებდა მუშაობის დროს. ცხადია, ყველაზე მეტად გვანტერესებდა, რა აზრისა იყვნენ მსმენელები ჩვენზე – პედაგოგებზე. სისტემატურად ვეცნობოდი მათ ჩანაწერებს, რომ გამეთვალისწინებინა ჩემ საქმიანობაში. ჩემ მიმართ იყო რამდენიმე შენიშვნა, განსაკუთრებით იმის შესახებ, რომ ზოგჯერ გადავუხვევდი ხოლმე პროგრამულ საკითხს და სხვა საგანზე გადამქონდა ყურადღება. განსაკუთრებით დამამახსოვრდა შენიშვნა ქალთა საკითხთან დაკავშირებით. გამოიწვია ეს მოგონებამ ნიკო ლორთქიფანიძის შესახებ, რომელმაც, აკრიტიკებდა რა "ბე-ბე-კა"-ს, სხვათაშორისად ირონიით თქვა: "ქალების გაკეთებული საქმე, აბა, რა იქნებაო" (მართლაც, ამ საქემის შედგენაზე ძირითადად, სწორედ ქალბატონები მუშაობდნენ). ქალებთან დაკავშირებით აზრების გამოთქმაზე ისიც მიბიძგებდა, რომ ნაკითხული წიგნებიდან ქალების შესახებ ამონარიდებს ვაკეთებდი (ანდაზები, აფორიზმები, სენტენციები და სხვ.), ამრიგად, ათასზე მეტი გვერდი მანქანაზე ნაბეჭდი მასალა მქონდა შეგროვებული. და თუკი ვინმეს ამ მასალის გაცნობა სურს, დაბეჭდილი მაქვს რამდენიმე ნაკვეთი: "ქმარი ღმერთია ქალისა", "ქალი კაცის ღვთიური განძია", "ქალი უსიყვარულოდ!", "ლამაზი შვილის აღმზრდელი დედა მიცვნია ღმერთადა", "ქართვის დედაო, ძუძუ ქართველისა", "ქალი ლამაზი ვინაა?".

მინდა ჩემს ყოფილ სტუდენტებს — კოლეგებს ბევრი რამ მოვუთხრო ჩემ მიერ ნაწახისა და შეცნობილის შესახებ. ეს ხომ მართო ჩემი ცხოვრება არაა, ის სოციალური ვითარებაა, რომელშიც ჩემი დროის ადამიანები ვმოღვაწეობდით, და უნდა ვიცოდეთ, შევისწავლიდეთ და ვითვალისწინებდეთ. განზრახული მაქვს, ნაწილ-ნაწილ, მოკლედ ვილაპარაკო სხვადასხვა ასპექტით და ამით არ გავწყვიტო კავშირი ჩემს ძვირფას კოლეგებთან.

მკითხველური ავტობიობრაფიები

ნანა სვანიძე,

სტუდენტი

ბავშვობიდან დღემდე

ბავშვს კარგი თვისებები რომ ჩამოუყალიბდეს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ წრეში იზრდება ის, როგორ ოჯახში და როგორ გარემოში. საგულისხმოა, როგორ ვითარდება მისი ურთიერთობა წიგნიერ სამყაროსთან. ამ თვალსაზრისით, ჩემი ცხოვრება თავიდანვე სასურველად დაიწყო. მახსოვს, სულ პატარას აღმედრა ინტერესი

— რატომ გვაქვს სახლში ამდენი წიგნი? ასე რატომ უფრთხილდებიან უფროსები მათ? შემდეგ, როცა წამოვიზარდე, უკვე სხვა ინტერესები გამიჩნდა წიგნებისადმი. მაოცებდა, როგორ ხდებოდა ის, რომ წიგნებში ზღაპრები და საინტერესო ამბები იყო მოქცეული. თანდათან მივხვდი, რასაც ნიშნავდა კითხვა, მაგრამ ამას ხომ ანბანის ცოდნა ჭირდება,

და მეც აღმედრა სურვილი, წერა-კითხვას დავუფლავებოდი.

გამიტაცეს წიგნებმა, უპირველესად მათ, რომლებიც სახლში გვქონდა. განსაკუთრებით მიზიდავდა ნახატებიანი წიგნები. ილუსტრაციები მიღძრავდნენ სურვილს, წამეკითხა ტექსტი, რომელსაც სურათები გამოხატავდა. კარგა ხანს, ვიდრე ანბანს საფუძვლიანად შევისწავლიდი, ზღაპრებს ჩემი და მიკითხავდა. უებროდ მსიამოვნებდა ეს და სულ იმის ცდაში ვიყავი, იქნებ მე თვითონ წამეკითხა საინტერესო წიგნები.

თანდათან მეც დავინტერესდი წიგნებით. პირველი სერიოზული წიგნი, რომელიც წავიკითხე, იყო "ტომ სოიერის თავგადასავალი". ისე გამიტაცა, მეგონა მე თვითონ ვტრიალებდი წიგნის გმირებს შორის, ნათლად ვხედავდი მათ და ველაპარაკებოდი; შემდეგ დამჩემდა საყვარელ გმირებთან ლამის უძილობის დროს ყოფნა და მათთან საუბარი, ოცნებაში ხშირად მათთან ერთად ვმოქმედებდი. იმდენად ემოციური იყო ყოველი წაკითხული წიგნი, რომ გადავწყვიტე, მეც შემექმნა მსგავსი რამ, და დავწერე "ბობისა და ბოკის თავგადასავალი", ცხადია, უცხოური საბავშვო წიგნების ზეგავლენით. მერე ამას ჩემი მიამიტური ლექსები მოჰყვა. ბოლოს ყველა წიგნით დავინტერესდი, რომელიც კი სახლში გვქონდა და კითხვა უკვე ყოველდღიურ საქმედ მექცა. კითხვის პროცესში იხვეწებოდა ჩემი დამოკიდებულება წიგნებისადმი, ვისწავლე უფრო ღრმად წვდომა შინაარსისა, ჩაფიქრება და შეფასება.

არ ვაქცევ ყურადღებას, თუ რა ჟანრის ნაწარმოები მაქვს ხელთ, როგორი გამოცემაა, როგორი გაფორმებული. მთავარია, რამდენად ეთანაბრება ჩემს ინტერესებს, რამდენად შემიძლია ჩავერთო მის არსში, რამდენად აკმაყოფილებს ჩემს მკითხველურ მოთხოვნილებებს. ზოგჯერ მთლიანად ვწყდები რეალობას და წიგნის სამყაროში ვმოგზაურობ.

დღესდღეობით ჩემთვის წარმოუდგენელია დღე თუ არა, კვირა მაინც ისე გავიდეს, წიგნი არ წავიკითხო. თანდათან ფართოვდება ჩემი ინტერესების ფარგლები. მხოლოდ მხატვრული ლიტერატურა არ მაკმაყოფილებს. პროფესიული დაოსტატების დროს დავინტერესდი ზოგადმეცნიერული და საგანმანათლებლო ლიტერატურით, რაც დიდ გონებრივ საზრდოს მაძლევს, კითხვა ჩემთვის ღრმა შემოქმედებით პროცესად იქცა.

რა ვიყავი ადრე და რა ვარ ახლა? ჩემს ცხოვრებაში წიგნი რომ არ ყოფილიყო, მე პიროვნება არ ვიქნებოდი. წიგნს ხომ განუსაზღვრელი ზეგავლენა აქვს საზოგადოებაზე. ის უდიდეს როლს თამაშობდა ჩვენს წარსულში, ახლაც ზემოქმედებს ჩვენზე და მომავალშიც იმოქმედებს, რამდენიც არ უნდა გაჩნდეს ტექნიკური საშუალება, რომელიც მის კონკურენტს წარმოადგენს. წიგნი არის და მუდამ იქნება ყველაზე ნათელი წერტილი ადამიანის ცხოვრებაში. ის უნდა გავიხადოთ ჩვენი ცხოვრების მეგზურად, გავუფრთხილდეთ და მოვუაროთ, დავიცვათ როგორც დიდი განძი ქვეყნისა!

კორესპონდენციები

ნინო ოქროსცვარიძე

ი. ჭავჭავაძის უნივერსიტეტის დოქტორანტი

კიდევ ერთი მედიაკაზინატი

კარგა ხანია, რაც საქართველოსა და თურქეთს შორის მჭიდრო თანამშრომლობა და ურთიერთობა დამყარდა. თურქეთი ხომ იმ ქვეყნებთაგანი პირველი იყო, რომელმაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა. ამ პერიოდის დიდი მოყოლებული, უამრავი ერთობლივი პროექტი განხორციელდა. დღითიდღე უმჯობესდებოდა თანამშრომლობა. მაშინ, როცა ახალფეხადგმულ დამოუკიდებელ სახელმწიფოს

საჩუქრის სახით გამოუყო საქართველოს. მას შემდეგ, რაც საქართველო თავისუფალი გახდა, თურქეთში მცხოვრებ ქართველებსა და საქართველოს ქართველებს შორის გააქტიურდა, გაღრმავდა ურთიერთობა, დაარსდა ჟურნალი "ჩვენებურები", შეიქმნა ინტერნეტ-საიტები, რომლებითაც არა მარტო თურქეთსა და საქართველოში, არამედ ემიგრაციაში მყოფი სხვა ქართველებიც სარგებლობენ. ის, რაც შეუძლებლად გვეჩვენებოდა საბჭოთა პერიოდში, შესაძლებელი გახდა. თურქეთში ქართველებისთვის უამრავი საკვლევი მასალაა, რომელიც თავის მკვლევარს ელის.

2006 წელს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული კონკურსის შედეგად გავი-



გაუჭირდა, თურქეთმა გამოგვინოდა დახმარების ხელი და დაახლოებით 50 000 ტონა ფქვილი

მარჯვე და შესაძლებლობა მომეცა თურქულ ენაში ლექციები წამეკითხა. ამ პერიოდში ჩემს ამოცანას წარმოადგენდა, შემექმნა პროექტი, რომელიც მიზნად დაისახავდა, ენის სწავლებისათვის შექმნილიყო მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები – ვგულისხმობთ ოთახს, რომელიც აღიჭურვებოდა შესაბამისი ტექნიკით. ენის სასწავლო პროცესისათვის აუცილებელია აუდიო და ვიზუალური მასალა, გარემო, რომელიც შეაგრძობინებს სტუდენტს იმ სამყაროს, რომლის ენის დაუფლებასაც ცდილობს. მას შემდეგ, რაც დავწერე პროექტი, განათლების საკითხებში თურქეთის საელჩოს მრჩეველის მელიქ იაიანის და თურქეთის საერთაშორისო თანამშრომლობის ადმინისტრაციის კოორდინატორის აიტეკინ აიდენის მხარდაჭერითა და დახმარებით, პროექტი ანკარაში გაიგზავნა. ერთწლიანმა მუშაობამ შედეგი გამოიღო, პროექტი დაფინანსდა. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ გამოყოფილი ოთახი, თურქეთის დაფინანსების შედეგად, გარემონტდა და აღიჭურვა უახლესი ტექნიკით, გადმოგვეცა თანამედროვე წიგნები, აუდიომასალა.

ამჟამად, გაერთიანებული უნივერსიტეტის არსებობის ისტორიაში პირველად, 2 თვით სასწავლებლად 2 სტუდენტი მიემგზავრება ქალაქ სტამბოლში, მათ წარმატებით გაიარეს თურქეთის მხარის მხარდაჭერით განათლების სამინისტროში ჩატარებული კონკურსი.

ჩემი, როგორც ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის დოქტორანტის სადისერტაციო თემა "ნათესავით ქართველნი (ქართველები თურქეთში, ქართველები საბჭოთა კავშირში)" დაკავშირებულია სწორედ თურქეთში მცხოვრებ ქართველებთან.

იმედს ვიტოვებთ, რომ აღნიშნული პროექტი

დაგვეხმარება არა მარტო სასწავლო პროცესში, არამედ სამეცნიერო კვლევების განხორციელებაშიც.

თურქეთიდან საუკუნეები გადმოგვცქერის, შემოგვალადებენ გრიგოლ ხანძთელის მიერ აშენებული ქართული მონასტრები, თამარის დროინდელი არხები. მაღლობა ღმერთს, რომ ქართული კვალი ჯერაც არ გამქრალა, რაც, რაღა თქმა უნდა, იქ მცხოვრებ ქართველთა დამსახურებაა. გვეხმარებიან გერმანიაში წასული ქართველი თურქები ილია ხიმშიაშვილის ხელმძღვანელობით, რომელთანაც ურთიერთობის შედეგად გერმანიაში ჩავინერეთ საინტერესო მასალები, მიმდინარეობს ქართველთა კვალის შენარჩუნებისათვის დიდი მუშაობა. სწორედ მისი მეცადინეობით ჰაიდელბერგში ერთ-ერთ პრესტიჟულ მოედანს დაერქვა საქართველოს სახელი.

თურქეთის მიწა სხვადასხვა ცივილიზაციის აღმავლობისა თუ დაცემის თვითმხილველია, სადაც ერთმანეთს ერწყმის და თანაარსებობს აღმოსავლური და ევროპული კულტურა. საუკუნეთა ქარტახილების, ბუნებრივი კატაკლიზმებისა თუ შემოსევების შედეგად ეს სიძველეები არ განადგურებულა, ამჟამად მოაღწიეს 21-ე საუკუნემდე. მიწა, სადაც ჰომეროსი მოღვანეობდა, მარიამ ღვთისმშობელი მიიცვალა, ტროას მთელი ეპოპეა განხორციელდა, მსოფლიოს უამრავი ქვეყნიდან იკრებს ხალხს და აოცებს თავისი დაფერვლილი დიდებით.

თურქული ენით, ლიტერატურითა და კულტურით დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მოზრძანდნენ ჩვენს უნივერსიტეტში, რათა გაეცნონ მათთვის საინტერესო მასალებს თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით და შეისწავლონ თურქული ენა.

თამარ არათანაშვილი

რუსთავის მთავ. ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე

ამერიკული კუთხე

რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანება – ი. ჭავჭავაძის სახელობის მთავარ ბიბლიოთეკაში გაიხსნა ამერიკული კუთხე. ამერიკული კუთხე ეფუძნება პარტნიორულ ურთიერთობას ამერიკის საელჩოსა და რუსთავის მთავარ ბიბლიოთეკას შორის. ამერიკის საელჩოს ხელშეწყობით გამოიყო თანხა. ბიბლიოთეკამ შეიძინა კომპიუტერები, ქსეროქსი, მუსიკალური ცენტრი, ტელევიზორი, თანამედროვე ტიპის ინვენტარი. ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით გარემონტდა ფასადი და ოთახები. კუთხე შედგება ორი ოთახისგან. ერთი აღჭურვილია კომპიუტერებით, რომლებიც ჩართულია ინტერნეტის ქსელში, ხოლო მეორე, ფაქტიურად, სამკითხველო დარბაზია.

ბიბლიოთეკის საცნობარო ნაწილი შექმნილია ამერიკული საჯარო ბიბლიოთეკების სამსა-

ხურის მიხედვით. საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია ბროშურები, მულტიმედია კოლექციები, რომლებშიც შედის წიგნები, დოკუმენტები ამერიკის შეერთებული შტატების შესახებ, კომპაქტ-დისკები, ჟურნალები და ვიდეოკასეტები ამერიკის ისტორიის, კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტების შესახებ, აგრეთვე, საინფორმაციო მასალა ამერიკის შეერთებულ შტატებში ბიზნესის წარმოების შესახებ, დამხმარე კოლექციები ინგლისური ენის შესასწავლად, დამხმარე მასალები მოსწავლეთათვის.

ბიბლიოთეკაში ფონდთან თავისუფალი დაშვებაა, ფონდი განლაგებულია თემატურად, მისი საერთო რაოდენობა 850 ბეჭდური ეგზემპლარია.

ამრიგად, ამერიკული კუთხე არის თანამედ-

როვე ტიპის ინგლისურენოვანი ბიბლიოთეკა, სადაც დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მიიღოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია არა მარტო წიგნით, არამედ თანამედროვე ტექნოლოგიებით, ინტერნეტის საშუალებით.

გარდა მკითხველის სრულყოფილი მომსახურებისა, ბიბლიოთეკაში იგეგმება მრავალმხრივი პროგრამები. ამერიკული კუთხე იქნება საზოგადოებრივი თავშეყრის, სალექციო ადგილი ამერიკიდან მოწვეული სპიკერებისთვის, აშშ საელჩოს თანამშრომლებისათვის და ამერიკელი ექსპერტებისთვის, ქსელური მუშაობის ცენტრი აშშ პროგრამების კურსდამთავრებულებისათვის და გრანტების მიმღები ორგანიზაციებისათვის, აგრეთვე ადგილობრივად მომზადებული პროგრამების ჩასატარებელი ცენტრებისათვის, რომლებიც ხელს უწყობენ ამერიკის გაცნობას (მაგ. ამერიკული ფილმების ჩვენება, ინგლისური ენის შესასწავლი კურსები, რჩევები ამერიკაში სასწავლებლად გამგზავრებისთვის და ა.შ.); ეს იქნება ამავე დროს სტუმრად ჩამოსული აშშ მთავრობის წარმომადგენლების შეხვედრის ადგილი.

7 მაისს ამერიკული კუთხის გახსნის საზეიმო ცერემონია შედგა, მოვლენა გაშუქდა ადგილობრივ პრესასა და ტელევიზიაში. ღონისძიებაზე მოწვე-

ული იყვნენ ამერიკის საელჩოსა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

სტუმრებს სიტყვით მიმართა საქართველოში ამერიკის ელჩმა ჯონ ტეფტმა: "მე მადლობას ვუხდით რუსთავის ადგილობრივ ხელისუფლებას თანამშრომლობისათვის. კუთხის გახსნა გააღრმავებს ამერიკელი და ქართველი ხალხის ურთიერთობას. ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურა ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი მკითხველისთვის: მოსწავლეებისთვის, სტუდენტებისთვის, ბიზნესმენებისთვის და მათთვის, რომლებსაც სურთ შეისწავლონ ინგლისური ენა, ისწავლონ ამერიკის უნივერსიტეტებში, დასაქმდნენ ამერიკულ კომპანიებში, ან უბრალოდ, იკონტაქტონ ამერიკელ ხალხთან".

ამერიკული კუთხის კოორდინატორად დაინიშნა თამარ იმერლიშვილი. ახალგაზრდა და ენერგიულ თანამშრომელს აქვს მეტად საინტერესო გეგმები, რაც დადებითად აისახება რუსთავის საბიბლიოთეკო ცხოვრებაზე. მისი მთავარი ამოცანაა, ხელი შეუწყოს ინგლისური ლიტერატურისა და კულტურის პროპაგანდას, გააღრმავოს კულტურათმორისი ურთიერთობები, ასე რომ, რუსთავს შესანიშნავი კულტურისა და განათლების ახალი კერა შეემატა.

მსოფლიო მწერლობის კორიფეაჟი

ჯონ მილტონი – 400

ალექსანდრე ლორია

ჯონ მილტონი ნიბნიარებისათვის დაუსხრომელი მებრძოლი

(გამოკვლევა)

ჯონ მილტონი ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი პოეტია, სწავლული, პუბლიცისტი, რომელმაც თავის დროსვე მოიპოვა მსოფლიო აღიარება. დაიბადა 1608 წ. მაღალკულტურულ ოჯახში. მამა-პროფესიით ნოტარიუსი, საკმაოდ კარგ კომპოზიტორადაც ითვლებოდა. ჯონმა კემბრიჯის უნივერსიტეტი დაამთავრა და მთელი თავისი ცოდნა ჰუმანური იდეების განხორციელებისაკენ მიმართა. ლექსებს ინგლისურ და ლათინურ ენებზე წერდა. განსაკუთრებით გამოირჩევა მისი პოლემიკური ტრაქტატები და წერილები, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მის "არეოპაგიტკას"; ცნობილია ის აგრეთვე როგორც ისტორიული პოემის ატორი

("ბრიტანეთის ისტორია").

განსაკუთრებით დიდი სახელი მოუპოვა მას პოემებმა "დაკარგული სამოთხე" და "დაბრუნებული სამოთხე". ბიბლიურ თემაზე დაწერილი ეს ნაწარმოებები გაუღენთილია რენესანსის სულისკვეთებით. ეს განწყობა ნათლადაა გამოხატული მის ბოლო ნაწარმოებში – ტრაგედიაში "მებრძოლი სამსონი".

ჯ. მილტონი კრომველის მთავრობაში უცხო ენათა მდივანი იყო და დაუცხრომლად იბრძოდა ახალი იდეების განხორციელებისათვის. რესტავრაციის დროს დააპატიმრეს, მაგრამ სულიერად არასოდეს გატეხილა და ბოლომდე პიროვნების თავისუფლებისათვის იბრძოდა. ის ერთგვარი ხიდია რენესანსსა და განმანათლებლობას

შორის.

ჯ. მილტონი გარდაიცვალა 1674 წელს და თავისი მოღვაწეობით უკვდავება დაიმკვიდრა.

საყურადღებოა ჯონ მილტონის მოღვაწეობა ნიგნიერების სფეროში. ის დაუფარავად გამოდიოდა თავაშვებული ცენზურის წინააღმდეგ და არაერთი მოსაზრება აქვს გამოთქმული ამასთან დაკავშირებით. "არეოპაგისტიკაში" საგანგებოდ აქვს გამოყენებული სიტყვის წარმოთქმის ის სტილი, რომელიც შუა საუკუნეების კლასიკური გამოსვლებისათვის იყო დამახასიათებელი. თავში – "ნიგნბექდვის თავისუფლების შესახებ" ის იმ დროისათვის ყველაზე მონინავე იდეებს ავითარებს. ჩვეულებრივ, ამგვარი რიტორიკა ჯერ კიდევ ანტიკურ საბერძნეთში იქნა შემოღებული, რომლის ბრწყინვალე წარმომადგენელი იყო ისოკრატე (ძვ. წ. 436-338) – შესანიშნავი ბერძენი მწერალი, რომელიც უმაღლესად იყო დაფასებული სოკრატეს მიერ (იხ.: პლატონი. ფედროსი). ისოკრატეს სტილისა და მანერის გამოყენებაში ნათლად ჩანს მილტონის განაზრახი – ღრმად, საფუძვლიანად, ლოგიკურად განიხილოს შერჩეული საკითხი, თანაც არ მოაკლოს მას პოეტური ელვარება. ფაქტობრივად, ეს არის "სიტყვა რევოლუციური ბექდვითი სიტყვის დასაცავად".

ფრიად საყურადღებოა, თუ როგორ იწყებს და ამთავრებს თავის "სიტყვებს" ჯონ მილტონი. თავდაპირველად ის ეხება ინგლისის პარლამენტის მიერ 1643 წლის 14 იანვარს მიღებულ "ნიგნბექდვაზე ზედამხედველობის კანონს", რომელშიც გაცხადებულია, რომ ამიერიდან არც ერთი ნიგნი, ბროშურა თუ ფურცელი არ შეიძლება დაიბეჭდოს თემატიკის წინასწარი განხილვისა და მოწონების გარეშე, რისთვისაც გამოყოფილი იქნებიან სპეციალური პირები. მილტონი დაურიდებლად აცხადებს, რომ არ შეიძლება ჩვენმა საზოგადოებამ აიტანოს ის ადამიანები, რომლებმაც ეს კანონი დაამტკიცეს. მისაღებია მხედველობაში: ამგვარი კანონები ვერ უზრუნველყოფენ, რომ არ გამოქყვენდეს უმსგავსო და ადამიანის ღირსებების შემლახავი ნიგნები. სავალალოა, რომ ამგვარი კანონი იმდენად არასასურველ ნიგნებს კი არ ჩააღშობს და შეაფერხებს, რამდენადაც შებოჭავს და ჩაკლავს სწორედ კარგსა და ამაღლებულ ლიტერატურას. ის მოსპობს უკვე მოპოვებულ საუკეთესო საგანმანათლებლო ტრადიციებს, ამასთან, ხელს შეუშლის და ფრთებს შეაკვეცს როგორც საღვთო, ისე სამოქალაქო მეცნიერებებს.

მილტონი არ უარყოფს იმას, რომ ნიგნის საქმე, როგორც ადამიანის ქმედება, შეუძლებელია არ იყოს მახვილი თვალთამზერის ქვეშ, როგორც სასულიერო, ისე ხელისუფლების მხრიდან, და განსაკუთრებულ შემთხვევაში არ მიმართავდეს დამსჯელ

ზომებს, როგორც ეს დამნაშავეთა წინააღმდეგ ხდება – სასამართლო იქნება ეს თუ დაპატიმრება, რადგანაც ნიგნი არ შეიძლება ჩათვალოს არასულიერ საგნად, მასში დიდი ცხოვრებისეული ძალაა ჩაქსოვილი. მათ ისევე შეუძლიათ იმოქმედონ, როგორც თვით მათ შემქმნელ გენიებს. უფრო მეტიც – ნიგნიში, როგორც ფილაში, ინახება სუფთა და ძლიერი ექსტრატი იმ ცოცხალი ინტელექტისა, ვინც შექმნა იგი. ნიგნები ფლობენ ცოცხალ და ნაყოფიერი მოქმედების უნარს, მსგავსად ლეგენდარული კოლხური დრაკონის კბილებისა, რომლებსაც, თუ დათესავ, მიწიდან გამოიზრდებიან უძლეველი მეომრები (იხ.: ოვიდიუსი. მეტამორფოზები), მაგრამ, მეორე მხრივ, საჭიროა დიდი სიფრთხილე, რადგანაც მოკლა კარგი ნიგნი, ეს იგივეა, მოკლა ადამიანი. ვინც კლავს კარგ ნიგნს, ღუპავს თვით გონებას, აქრობს ღვთიურ პატრუქს. კარგი ნიგნი – ეს მაცოცხლებელი მალამოა შემოქმედი სულისა, მომავალი თაობისათვის გადანახული განძი.

ცხადია, არც ერთ თაობას არ ძალუძს აღადგინოს წარსული დიდი დანაკარგების გარეშე. ცვლიან რა ეპოქები ერთმანეთს, არავის აქვს უნარი აღადგინოს ერთ დროს მოწყვეტილი და დაკარგული ჭეშმარიტება, რაც თანამედროვეობას სჭირდება. მაშასადამე, ჩვენ უნდა ვიყოთ ძალზე წინდახედულები, როდესაც განაჩენი გამოგვაქვს საზოგადოების ნააზრვისათვის, რაც ნიგნებშია დაუნჯებული. ნიგნები ღვთიური სუნთქვით ფეთქავენ და თუ ვკლავთ მათ, ვკლავთ უფრო უკვდავს, ვიდრე უბრალოდ ცოცხალს.

მილტონმა, ბრალდება რომ აირიდოს, თითქოს ის ცენზურის დაუშვებლობასა და ყველაფრის ნებადართულობას ქადაგებდეს, მიმართა ნიგნების წინააღმდეგ ბრძოლის უძველეს მაგალითებს და შეეცადა, დაენახებინა საზოგადოებისათვის, როდის და რისთვის იქნა შემოღებული ცენზურის ინსტიტუტი საზოგადოების მიერ და, კერძოდ, რის წინააღმდეგ იყო ის მიმართული, ამიტომ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აკრძალვის სამიზნედ ითვლებოდა ღვთაებათა მგობი, მათი უარყოფელი ნიგნები, აგრეთვე ცნობილ პიროვნებათა სათრეველა და სალანძღავ-შემარცხვენელი ნაწარმოებები. მისი აზრით, სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ არეოპაგის მოსამართლეებმა გადაწყვიტეს, დაენვათ პროთაგორას (ძვ. წ. V ს.) ნიგნი "ღმერთების შესახებ", თავად ავტორი კი გაედევნათ ათენიდან. მთავარ დანაშაულად მას პირველივე ფრაზა ჩაუთვალეს, რომელშიც ის ამბობს: "ჩემთვის არაა ცნობილი, არსებობენ თუ არა ღმერთები". დაუშვებელი იყო აგრეთვე ნიგნები, რომლებშიც უკეთურად იქნებოდა მოხსენებული არსებული პირები, რაც შეურაცხყოფდა ამ ადამიანებს, როგორადაც ამას ადრეული ავტორები ჩადიოდნენ (კრატინი, ევპულე, არისტოფანე). მიუხედავად ამისა, არავის არ მოსვლია აზრად, აეკრძალათ,

დაეწვიათ, გაენადგურებინათ მათი ნაწარმოებები, თუმც ამ ნაწარმოებების დეკლამირება დაშვებული არ იყო. პლატონი (ძვ. წ. 428-348), მაგალითად, კიდევ ურჩევდა თავის მოწაფეს – სირაკუზის მბრძანებელს – დიონისეს, წაეკითხა არისტოფანე, რამდენად საოცრადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, იოანე ოქროპირი (347-407) კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსი ლამეებს ათენებდა კომედიოგრაფის ნაწარმოებების კითხვაში, ცოტათი აკეთილშობილებდა მის მეტყველებას და მოწაფეების დამოდღვრისას იყენებდა.

საბერძნეთის მეორე უმნიშვნელოვანესი ქალაქი ლაკედემონია, რომლის ფუძემდებელი და კანონმდებელი იყო ლიკურგე (ძვ. წ. 9-8 ს. ს.), ფაქტობრივად, არავითარ ცენზურას არ საჭიროებდა, რაკი თითქმის არაფერს კითხულობდნენ სპარტელები, გარდა თავიანთი ლაკონური გამონათქვამებისა. ალბათ ამით აიხსნება ის, რომ მათ ე. წ. "ამაღლებული" შემოქმედებითი პათოსის გამო მოითხოვეს გაეძევინათ ქალაქიდან არქილოქე (ძვ. წ. VIII ს. დასასრული – VII ს. დასაწყისი). ასეთი სიმკაცრის მიუხედავად, ლიკურგე მაინც გამოირჩეოდა ნატიფსიტყვაობის სიყვარულით. აღსანიშნავია, რომ მან პირველმა გამოიტანა იონიიდან ჰომეროსის პოემის დაფანტული ფურცლები და თავი მოუყარა მათ. ცნობილია, რომ ლაკედემონიაში მან სპეციალურად გაგზავნა პოეტი თალესი (და არა ფილოსოფოსი მილეთელი), რათა სპარტელებისათვის ერთგვარი ზემოქმედება მოეხდინა ნატიფი ხელოვნების სიყვარულის გასაღვივებლად. ცნობილია, რომ ხელისუფლები ანტიკურ ეპოქაში დიდხანს დევნიდნენ ბილწსიტყვაობასა და ადამიანების დამამცირებელ ნაწარმოებებს. ნევიუსი (ძვ. წ. 270-210) და პლავტიუსი (ძვ. წ. 254-184) ბერძენ კომედიოგრაფთა მიბაძვით, ისეთ კომედიებს წერდნენ, რომლებშიც გალანძლილი იყო ზოგი ცნობილი ადამიანი, რისთვისაც ნევიუსი თავისი თავშეუკავებელი ლანძღვისათვის დილეგში ჩაამწყვდიეს, მხოლოდ ტრიბუნებმა გაანთავისუფლეს საჯაროდ ბოდიშის მოხდის შემდეგ. ავგუსტუს ოქტავიანე ცეზარის დროს (ძვ. წ. 68-ახ. წ. 14). ამგვარ ნაწარმოებებს ცეცხლს აძლევენ, მათ შემქმნელებს კი – დევნიდნენ. ცხადია, იგივე ბედი ელოდა ძველი ღმერთების უპატიურად მომხსენებლებს. მილტონის დაკვირვებით, ხელისუფლებას სხვაგვარი შემთხვევები სულაც არ აინტერესებდა და არც დევნიდა. ამის ნათელი დადასტურებაა ლუკრეციუსის (ძვ. წ. I საუკუნე) – რომაელი პოეტის, ფილოსოფოსის, მატერიალისტური მოძღვრების ერთ-ერთი მამამთავრის მიმართ ლოიალური დამოკიდებულება. თვით ციცერონმა (ძვ. წ. 106-43) ორჯერ გამოაქვეყნა მისი პოემა "საგანთა ბუნებისათვის", მიუხედავად იმისა, რომ სრულებითაც არ იზიარებდა ავტორის მსოფლმხედველობას და დადებითად არ

აფასებდა თვით ნაწარმოებს. არავის არ მოსვლია აზრად ამ ნაშრომის განადგურება. (სხვათა შორის, ეს ერთადერთი უძველესი მატერიალისტური ნაწარმოებია, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია). განუკითხავად სრულიადაც არ დევნიდნენ საკმაოდ მახვილ სატირულ და უხემ გამოხდომებს, როგორც ჰქონდათ ლუცილიუსს (ძვ. წ. 180-103), რომელიც რომაული კომედიოგრაფიული სკოლის დამაარსებლად მიაჩნიათ, აგრეთვე კატულიუსსა (ძვ. წ. 87-39) და ფლავიუსს (ახ. წ. I საუკუნე); რაც შეეხება პოლიტიკურ მონინააღმდეგეებს, არც მათი ნაწარმოებები იდევნებოდა. მაგალითად, ისტორიკოსი ტიტ ლივიუსი (ძვ. წ. 59-17), რომელიც იყო ავტორი "რომის ისტორიისა" და პომპეუსის პარტიის წევრი და ამკარად გამოდიოდა ხელისუფლების წინააღმდეგ, ოქტავიანე ცეზარს აზრადაც არ მოსვლია აეკრძალა მისი ამ სასტიკი მონინააღმდეგის ნაწარმოები, ხოლო ის, რომ ოქტავიანემ დასაჯა "მოხუცი" ნაზონი (ძვ. წ. 43 – ახ. წ. 18), მილტონის აზრით, უბრალოდ, ფორმალური საბაზი იყო, რასაც საიდუმლო მიზეზი თუ ჰქონდა.

ცნობილია, რომ ამ პერიოდიდან თანდათან მკაცრდება და ძლიერდება იმპერატორის უფლებები, სულაც არ არის უცხო აღვირახსნილი რეპრესიები, და რა გასაკვირია, მონინავე მოაზროვნეთა შორის სულ უფრო და უფრო ისადგურებს შიში, კრძალვა პირდაპირი გამოსვლისა, და, ვინ იცის, რამდენი კარგი ნიგნი და აზრი დაზარალდა ამის გამო, მაგრამ მილტონის დაკვირვებით, ღვთისმგმობი და კეთილშობილ ადამიანთა შეურაცხმყოფელი ნიგნების გარდა, სხვა არაფერი იდევნებოდა.

გადის დრო და იმპერატორები ქრისტიანულ სარწმუნოებას ეზიარნენ, მაგრამ საკმაოდ დიდხანს მათი დამოკიდებულება არასასურველი ნიგნების მიმართ, მაინც და მაინც არ შეცვლილა. ნაწარმოებებს, რომლებიც ერესიად მიიჩნეოდა, საფუძვლიანად განიხილავდნენ, უარყოფდნენ და მსოფლიო კრებაზე მათ მიმართ წყევლა-კრულვას ავლედნენ. მხოლოდ ამის შემდეგ ხდებოდა აკრძალვა თუ მათი დაწვამპერატორის ხელისუფლების მიერ. წარმართ ავტორთა ნიგნები, თუკი ისინი ამკარად არ გამოდიოდნენ ქრისტიანობის წინააღმდეგ, როგორც, მაგალითად, ამას ჩადიდდნენ პორფირიუსი (232-302) და პროკლე დიადოხოსი (412-485), დაახლოებით 400 წლამდე არ აწყდებოდა რაიმე მნიშვნელოვან წინააღმდეგობას, ვიდრე კართაგენის IV კრებაზე (სობორო) 398 წელს თვით ეპისკოპოსებსაც კი არ აუკრძალეს ეკითხათ წარმართ ავტორთა ნიგნები, თუმცა მათი ნიგნების კითხვა მანამდეც არ იყო დაშვებული, ადრე კი პირიქით – უნდობლად ეკიდებოდნენ ერეტიკოს ავტორებს, ვიდრე წარმართებს. მილტონის დაკვირვებით, 800-იან წლებამდე ყველა პირვანდელი კრება და ეპისკოპოსები, ჩვეულებრივ, იმით იფარგლებოდნენ, რომ, უბრალოდ,



გმობდნენ "მიუღებელ" წიგნებს, მერე კი უკვე იმათ სინდისზე მიაგდებდნენ, ვინც მათ წაიკითხავდა და მკრეხელობის არ შეეშინებოდა, ცოდვას თავის-თავზე აიღებდა. სწორედ ამაზე მეტყველებს მამა პაოლოს (1552-1623) – ბერობაში პიეტრო სარპის დამოკიდებულება ამ მოვლენისადმი. იგი დაუცხრომლად იცავდა იდეას – ვენეციის სამოქალაქო ხელისუფლება პაპის იურისდიქციისაგან გამონ-თავისუფლებულიყო. ამით საკმაოდ მკვეთრად დაუპირისპირდა კრიდენტის კრებას – სობოროს (1545-1563 წლებში). ბოლოს მონასტერში წიგნი დანერა, რომელიც ცენზურას ეხებოდა. თანდათან რომის პაპებმა შეუზღუდველი უფლებები მიიღეს, პოლიტიკაშიც შეუფერხებლად ერეოდნენ და ადამიანთა აზროვნებაზეც იკისრეს "მეურვე-ობა", ზედამხედველობდნენ კითხვას, ცეცხლს აძლევენ და კრძალავდნენ ყველაფერს, რაც მათ მავნედ მიაჩნდათ. მართალია, თავდაპირველად მათი ცენზურა შედარებით ზომიერი იყო, მაგრამ შემდეგ მარტინ მეხუთემ (პაპობდა 1417-1431 წ. წ.) თავისი ბულით არა მარტო აღკვეთა ერესი-ული წიგნების კითხვა, არამედ პირველად დაიწყო დამრღვევთა ეკლესიისაგან მოკვეთა. მისი მოქმე-დება გააცხოველა იმან, რომ სწორედ ამ პერიოდში მოღვაწეობდნენ საეკლესიო საქმის რეფორმატორები ვიკლიფი (1324-1384) და ჰუსი (1376-1415). უმკაცრეს პოლიტიკას ავითარებდა ასევე ლევ მეთათეც (პაპობდა 1513-1521) და მისი მემკვიდრე-ებიც, ვიდრე ტრიდენტის სობორომ და ესპანეთის ინკვიზიციამ არ გააერთიანეს ძალისხმევა – არ შეავსეს და არ "გააუმჯობესეს" ყველა ის კატალოგი და "გამწმენდი" ინდექსი, რომლის ძალითაც მთლად გამოშიგნეს ძველი კეთილი მწერლები, და თანაც უფრო დიდი მონდომებით, ვიდრე ამას ანატომები აკეთებენ ცხედრის გაკვეთისას. აკრძალულ წიგნთა ინდექსის მსგავსად ("ინდექს ლიბრორუმ პროჰიბი-ტორუმ" – Index Librorum Prohibitorius) 1559 წელს გამოქვეყნდა "ინდექს ექსპურჯატორიუსი" (Index Expurdatorius); ისინი არ იფარგლებოდნენ მხოლოდ ერეტიკოსების დევნით. ის, რაც მათ გამოვინებას არ შეეფერებოდა, ყველაფერი ამ სივრცეში იყრიდა თავს, ხოლო რასაც ვერ ასწრებდნენ, განზრახული იყო შემდგომ გამოცემებში შეეტანათ.


იმისათვის, რომ კიდევ უფრო გაძლიერებულიყო სასულიერო მეურვეობა, სობორომ, ბოლოს და ბოლოს, მიიღო გადაწყვეტილება, რომ არც ერთი წიგნი, ბროშურა თუ ფურცელი არ შეიძლებოდა გამო-ცემულიყო, ვიდრე არ გადაისინჯებოდა და არ იქნე-ბოდა მოწონებული ორი-სამი უძღები "ძმების" მიერ.

მილტონს რამდენიმე რეზოლუციის მაგალითი მოჰყავს, რომელსაც წიგნზე ადებდნენ ცენზორები, და ხაზგასმით აღნიშნავს, რამდენად ქედმაღალი ტონითა და დაუდევრობით, ზოგ შემთხვევაში უწიგნურად იწერებოდა ისინი, ამასთან, მსჯელობს იმაზე, თუ რამდენად გამართებულია, რომ ეს რეზო-

ლუციები, მაინცა და მაინც, ლათინურ ენაზე უნდა იწერებოდეს. ნუ თუ ინგლისურ ენას არა აქვს უფლება, – კითხულობს მილტონი, – თავისუფალი იყოს ყოველგვარი ზენოლისაგან? – ამავე დროს ის გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ინგლისელთა წინაპ-რები უნინ არასოდეს არ მიმართავდნენ წიგნების დაუნდობლად ქელვას, ამ თავისუფალ ხალხში წიგნიც ისევე იბადებოდა, როგორც ყოველი სულიერი. მართალია, არსებობდა ისიც, როცა იბადებოდა მახინჯი და უდღეური ადამიანი, იმას ცეცხლს მისცემდნენ ან წყალში დააღრჩობდნენ ხოლმე, მაგრამ გაგონილა, საშოში მოაშთო სული-ერი, რომელიც არ იცი, რა გამოვა? სწორედ ამას ადარებს მილტონი წინასწარ ცენზურას და მწარედ ამათრახებს მოინკვიზატორო ეპისკოპოსებსა და მათ ძმებს. ის აშკარად გამოდის მათ წინააღმდეგ და აცხადებს, რომ კეთილშობილ, გონიერ ადამიანებს შეუძლებელია მოსწონდეთ ეს ცენზურა, რომელიც ხალხს თავსმოხვეული აქვს.

მილტონი დიდ ადგილს უთმობს საკითხებს კითხვის შესახებ. ლაპარაკობს რა მის სარგებ-ლობაზე, ცდილობს მხოლოდ სათანადო განსჯის შედეგად გამოიტანოს დასკვნები. მაგალითად მოჰყავს დიონისე ალექსანდრიელი, რომლის სახელი 240 წლის განმავლობაში სარგებლობდა ეკლე-სიის პატივისცემით მისი კეთილგონიერებისა და სიბრძნისათვის; იგი წარმატებით იბრძოდა ერეტი-კოსების წინააღმდეგ, მაგრამ ყურადღებით შეის-წავლიდა მათ ნაწერებს. როცა ერთხელ ამისთვის ერთმა პრესვიტერმა შენიშვნა მისცა და უკმაყოფი-ლება არ დაფარა, ეს ბრძენი ჩაფიქრდა, თუ რანა-ერად უნდა მოქცეულიყო. მას ღვთიურმა გასხი-ვოსნებამ გაუნათა გონება – შემოესმა სიტყვები: "იკითხე ყველა წიგნი, რომელიც ხელთ მოგყვება, რაკი შენ მშვენივრად შეგიძლია სწორად იმსჯელო ყოველგვარი საგნის შესახებ". მან უყოყმანოდ იწამა ეს, მით უფრო, რომ ეს სიტყვები ზუსტად ეხმიანებოდა პავლე მოციქულის გზავნილს თესა-ლიელების მიმართ: "ყველაფერი გამოსცადეთ, – კარგს ჩაეჭიდეთ!" მას შეეძლო ამ გზავნილიდან სხვა სიტყვებიც მოეყვანა: "წმინდისათვის ყველა-ფერი წმინდაა". მილტონის თქმით, წმინდაა არა მარტო სასამელ-საჭმელი, არამედ ყოველგვარი ცოდნა – კეთილი თუ უვარგისი. ცოდნა, და ამგვარად წიგნები, რანაერიც არ უნდა იყოს ისინი, ვერ შებღალავენ ადამიანს, ვისი ნება და სინდისი შეუბღალავია. წიგნები ხომ როგორც საჭმელი, არის კარგიცა და ცუდიც. და როგორც პეტრემ ერთხელ უფლის შეგონებით ჭამა თავის ნებაზე, რაც მოესურვებოდა, ისე შეიძლება ჩვენ გავიგოთ უფლის სიტყვები – ადამიანმა ყველაფერი აირჩიოს თავისი შეხედულებით.

დაავადებულ კუჭს ჯანსაღი საჭმელიც ისევე ენებს, როგორც უვარგისი; ცოდვილ გონებას ყველაზე უკეთესი წიგნებიც მოეძიება ბოროტად



გამოიყენოს. გაფუჭებული სურსათისაგან, როგორც არ უნდა ეცადო, ვერ დაამზადებ კარგ კერძს, ხოლო ცუდი წიგნებიც კი კეთილგონიერ, მოაზროვნე მკითხველს ბევრ ცოდნას მისცემს.

მილტონი თვლის, რომ როგორც ღმერთმა მოგვცა ნება თავისუფალი ვიყოთ საკვების არჩევანში, ისევე განაპირობა მან ჩვენი დამოკიდებულება სულიერი საზრდოს მიღებისადმი; არ შეუზღუდავს მას ეს არავითარი კანონებითა და მითითებებით, მართალია, სოლომონი შენიშნავს, რომ ბევრი კითხვა დამქანცველია სხეულისათვის, რასაც არაერთი მოძღვარი იზიარებს, მაგრამ არც სოლომონი, არც ისინი და არც უფალი კითხვის აკრძალვაზე არაფერს ამბობენ. უფალს რომ ეს ჰქონოდა ფიქრად, მაშინ სიტყვა შეეხებოდა არა ფიზიკურ დაღლას, არამედ კითხვის აკრძალვას. მილტონს აქ მოჰყავს ეთესოელთა მიერ წიგნების დაწვის მაგალითი და ცდილობს ეს არგუმენტებით გაამართლოს. როცა ის ამ მოვლენას ახსნის, ეყრდნობა რა სირინს (306-373), მისი აზრით, ეს წიგნები ჯადოქრული უნდა ყოფილიყო და თანაც იმ ხალხისა, რომელმაც ისინი დაწვა ნიშნად მონანიებისა. სახელმწიფო აქ არაფერშუაშია. თანაც ეს წიგნები ავი მიზნებით იყო შექმნილი. მიუხედავად ამისა, მილტონი მორიდებით ასკვნის, რომ თუმცა ამ წიგნების გამოყენება სხვებს ალბათ შეეძლოთ თავიანთ სასარგებლოთ. ამგვარად, – ასკვნის ის, – წიგნები, რომლებიც თითქოს ბღალავენ ცხოვრებასა და რწმენასაც, არ შეიძლება აიკრძალოს. ამის გაკეთება საზიანოა ცივილიზაციისა და თავისუფალი აზროვნებისათვის; ყოველი წიგნი, უპირველეს ყოვლისა, და უმეტესად სწავლულთა ხელში აღმოჩნდება ხოლმე, რომლებსაც შეუძლიათ მიღებული ცოდნა სხვებს გადასცენ. ამის გამოა, რომ აკრძალვის მომხრენი შიშობენ – წიგნებში გავრცობილი ერეტიკული და მანე, ადვილად გავრცელდება ადამიანებს შორის, მაგრამ სხედველობაში არ იღებენ, რომ სიბილნე და სიავე წიგნების გარეშეც იოლად ვრცელდება, და მაინც განუკითხავად სწორედ წიგნების აკრძალვას მიმართავენ. შევიგნებ რა ამას, – ამბობს მილტონი, – უარს ვაცხადებ და ვემიჯნები ცენზორის ამ "მახვილგონიერულ" გამოგონებას. ვერაფერს ვხედავ მასში, გარდა ძველი, უნაყოფო და უაზრო ცდისა. ამასთან დაკავშირებით მას ერთი არაკი მოჰყავს – კაცმა მჭიდროდ ჩაკეტა თავისი ბაღის კარები, რომ შიგ ყვავები დაეჭირა. ამას მილტონი უკავშირებს ცენზურის "გონიერებას". რიტორიკულ შეკითხვას იძლევა: თუკი ამდენ სიავეს ავრცელებს განათლებული ხალხი წიგნების მეშვეობით, მაშინ როგორღა ვენდოთ ვიღაც ცენზორებს, თუკი ისინი უმნიშვნელო ადამიანებად არ იქნებიან აღიარებული? (მილტონი აცხადებს: "... ბრძენი კაცი არარაობის მქონე წიგნებიდანაც

კი ბევრ სასარგებლოს ამოიგებს, ვიდრე სულელი წმინდა ნაწერებიდან. გარდა ამისა, – ამბობს ის, – საკმოდ გავრცელებული აზრი, რომ ცდუნებას არ უნდა ავყვეთ და არ ვიკითხოთ ყოველგვარი წიგნები და ტყუილუბრალოდ არ ვხარჯოთ დრო, სრულიად მცდარია. ორივე მოსაზრება არაა მისაღები. მილტონი წიგნის კითხვას ადარებს სხვადასხვა მეცნიერთაგან სამკურნალოდ გამოკრეფილ ფოთლებს, როცა მათში სხვადასხვაგვარი ნექტარია, რომლებიც მხოლოდ კომბინაციაში იძლევიან სამკურნალო ეფექტს.

ამის შემდეგ მილტონი კვლავ უბრუნდება ცენზურის წარსულს და ამასთან დაკავშირებით პლატონის შეხედულებებს ეხება საკმაოდ კრიტიკულად. მისი შეხედულებით, პლატონი, რომელიც ყოველთვის სარგებლობდა საყოველთაო პატივისცემით (სხვათა შორის, ყველაზე ნაკლებად მისი "რესპუბლიკის" გამო, რომელშიც ჩამოყალიბებული აქვს თავისი კანონები), მისი მოსაზრებები სახელმწიფოს მოწყობის თაობაზე, არც ერთ ქვეყანაში არ მიუღიათ, შეიძლება ითქვას, ეს კანონები არც ერთ მეცნიერებას არ ცნობდა, თუ არა უზადო დეკრეტების მიერ დაშვებულსა და პრაქტიკულად აუცილებლად გამოსადეგს, რომელთა გაცნობიერებას გაცილებით ნაკლები წიგნები დასჭირდებოდა, ვიდრე თვით პლატონს აქვს დაწერილი. ისიც იგულისხმება, რომ ვერც ერთი პოეტი ვერ წაუკითხავს კერძო პირს თავის ლექსს მანამ, სანამ მოსამართლენი და კანონმდებლები არ განიხილავენ მას და არ მოიწონებენ, მაგრამ სავსებით ცხადია, რომ პლატონს ეს კანონები გათვალისწინებული ჰქონდა მხოლოდ და მხოლოდ თავის წარმოსახვით რესპუბლიკისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში, რატომ თვითონ არ იცავდა ამ კანონებს, არამედ პირიქით – არღვევდა მათ, რის გამოც არავის არ გაუხასხლებია ის თავის ძალზე თავისუფალი ეპიგრა-მული და დიალოგებისათვის, აგრეთვე იმისათვის, მუდმივად რომ კითხვობობდა სოფრომ მიმისა (ძვ. წ. 460-320) და არისტოფანეს, რომლებიც ყველაზე თავაშებული ენის მიუხედავად, დიდებით სარგებლობდნენ ხალხში. ცხადია, მას ესმოდა, რომ პოეზიის ამგვარი შეზღუდვა ცენზურისაგან შესაძლებელი და გამართებული იქნება მხოლოდ სხვა მრავალ დადგენილებასთან ერთობლიობაში, თანაც მის მიერ მოგონილ ფანტასტიურ, სინამდვილეში შეუძლებელ სახელმწიფოში. ყოველივე ეს ძველადაც ესმოდათ, რაკი კარგად იცოდნენ, ჭირისაგან თავს ვერ დააღწევ, ჩაიკეტო ოთახში, რომლის მხოლოდ ერთი ფანჯარაა ჩარაზული, ხოლო სხვა ყველა ღიაა. ჩვენ, თუ გვინდა წიგნუჭდვის საქმეში წესრიგის დამყარება და ამით ზნეობის გამოსწორება, მაშინ უნდა მივხედოთ აგრეთვე ყოველგვარ გასართობსა და თავშესაქცევს, ყველაფერს, რაც ადამიანის გახალისებას ემსახურება. აღარ იქნება შესაძლებელი მოვუსმინოთ მუსიკას ან ვიმღეროთ

რამე, გარდა საზეიმო და დორიტიკული სიმღერებისა. მაშინ შემოვიღოთ ცენზურა ცეკვაზე, რომ ჩვენი ახალგაზრდები არ დაეჩვიონ ჟესტებს, ქცევას და წარმოსადგობას, რაც უნესრიგობად იქნება მიჩნეული – სწორედ რომ ამას გვთავაზობს პლატონი. დაგვჭირდება ორი ათეული ცენზორის მომსახურება იმისათვის, რომ შემონმდეს ოჯახური საკრავები, განისაზღვროს, მოსახლეობამ რა შეიძლება იმღეროს და რა არა. რა ვუყოთ ადამიანებს, რომლებიც თავისთვის წაიღიდნენ ხოლმე, ან რა მოვუხერხოთ გასაყიდად გამოფენილ წიგნებს საეჭვო ფრონტისპირებით; გვეყოფა კი ყოველივე ამისათვის ოცი ცენზორი? საჭირო გახდება შესწავლილ იქნეს სოფლები, იქაური თავისუფალი მოღვაწეები, მივარდნილი კუთხის ვიღაც მევიოლინეს შაირები; რა შეიძლება ვუყოთ კიდევ ერთ ეროვნულ "უბედურებას" – ლოთებსა და ღორმუცელებს? ვინ დაუშლის ბრბოს, მიაკითხოთ გასამხიარულებელ დანესებულებებს? ჩვენი ტანსაცმელიც ექვემდებარება ცენზურას რომელიღაც მკერავების მიერ, ან ვინ წარმართავს ახალგაზრდა ქალ-ვაჟის ურთიერთობას? როგორ მოვახერხოთ, დაქვსაქსოთ ჩვენთვის მიუღებელი ათასგვარი ორგანიზაცია? ჩვენ არ შეგვიძლია ზურგი შევაქციოთ რეალურ ვითარებას და ვეძიოთ რაღაც ატლანტიდისა თუ უტოპიის მაგვარი ქვეყანა. აქ ჩვენ დაგვჭირდება უკვე არა პლატონისეული წიგნის ცენზურა, რითაც ვერაფერს ვერ მივაღწევთ, არამედ უფრო საჭიროა ის დაუნერგელი ან, ყოველ შემთხვევაში, ფორმალურობებით შეუბოჭველი საგანმანათლებლო კანონები რელიგიური და სამოქალაქო აღზრდისა, რომელსაც პლატონი სახელმწიფოს საკვანძო სახსრებს უწოდებს. აი, რითი უნდა ვიხელმძღვანელოთ, როცა ყოველგვარი ცენზურა უღონოა.

რა თქმა უნდა, ყველაფრის დაშვება და დაუსჯელობა ღრღნის საზოგადოებას, მაგრამ საჭიროა ძალიან განზონანსორებული მოქმედება – არ გადავამეტოთ მაშინ, როცა ეს საჭირო არ არის. აქ მილტონი ეხება ადამიანის ცდომილებას, რასაც ზოგიერთი ღვთის ერთგვარ დაუდევრობად მიიჩნევს, რაკი მან დაუშვა, რომ ადამი ცდუნებულყო. მილტონი ამ მოვლენას იმით ამართლებს, რომ ღმერთმა ადამიანს გონება და არჩევანის თავისუფლება მიანიჭა, რათა მას თავისი ჭკუით ემოქმედა, სწორედ ამის შემდეგ ჩაუსახა ღმერთმა ადამიანს ათასგვარი მიდრეკილება სიამისადმი, რათა მას თავისი გონიერების წყალობით ეკეთებინა არა დასავმობი საქმენი, არამედ განესაზღვრა კეთილგონიერული ყოფა და ამ გზით ევლო. მოხდა ისე, რომ ცოდვათა მთა-გორა სულ უფრო და უფრო იზრდება. შეიძლება

მოვაშოროთ ადამიანი ცოდვების გზას რალაცვარი მოქმედებით, მაგრამ უაზრობაა ეს მოქმედება წიგნებზე გადავიტანოთ. ძუნწს რაც არ უნდა გამოაცალო ხელიდან განძი, ბუნებით ის მაინც ძუნწი დარჩება; რაც არ უნდა ჩაკეტო ახალგაზრდები მონასტრების კედლებში, ისინი წმინდანებად ვერ დარჩებიან, თუ დაკარგეს ამის უნარი. ბოროტება და სიკეთე ერთად დადის – მოსპობ ბოროტებას, ისპობა სიკეთეც, რადგანაც ის არაფრისმაქნისი ხდება. ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ ეს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენა მთლიანობაში საკმაოდ დაფარული და შეუცნობადია. ამიტომაც უაზრობაა ყოველგვარი კანონი, რომელიც წიგნებში კარგსა და ცუდს გამოარჩევს. ეს ღვთისაგან გონებადმინიჭებული თავისუფალი ადამიანის გადასაწყვეტია. ვინ იცის, რამდენი ცდუნება არ არის ქვეყნად, რომლის დაძლევისათვის დაუცხრომლად უნდა იბრძოდნენ ადამიანები, და მხოლოდ რაღა წიგნის ბექდვის საქმე გახდა ასეთი დევნის საგანი? არა-და, განა თითქმის ყოველ დღე არ ვკითხულობთ პარლამენტში გამოსვლებს, რომლებიც სავსეა უშვერი გამოთქმებით და თანაც ყოველგვარი ცენზურის გარეშე? რატომ არ დაფიქრდებიან პარლამენტარები?.. ამ კანონის თანახმად, რა უნდა ვუყოთ ადრე გამოცემულ თუ უცხოეთიდან შემოტანილ წიგნებს? შეიძლება კი მოხერხდეს მათი მოპოვება და სიების შედგენა, ადამიანმა რომ შეძლოს გაიგოს, რა წიგნი შეიძლება იქონიოს სახლში და რა არა? რამდენი სახელმწიფო მოხელე იქნება ამისათვის საჭირო?

დასასრულ, მილტონი მიმართავს პარლამენტარებს და უსაბუთებს მათ, რამდენად შეუძლებელი და აზრს მოკლებულია კანონი ბექდვის საქმეზე ზედამხედველობის შესახებ, რომ ის სულაც არ გამოდგება იმის მისაღწევად, რა მიზანსაც ისინი ისახავენ. მილტონი მიუთითებს მათ იტალიასა და ესპანეთზე და სვამს საკითხს: განა ეს ქვეყნები რამეთი განათლდნენ, განვითარდნენ, უფრო კეთილშობილი და სამართლიანი, დაბრძენებულნი და მაღალკულტურულნი გახდნენ, რაც ინკვიზიციამ აქ განუკითხავად დაუნყო დევნა წიგნებს?

მილტონს ამგვარი კანონი და ამგვარი დამოკიდებულება წიგნების მიმართ ხალხის შეურაცხყოფად მიაჩნია.

ჯონ მილტონის სამართლიანი, დაუცხრომელი ბრძოლა ცენზურის წინააღმდეგ იყო არა მარტო ინგლისელი, არამედ მსოფლიო ხალხების წიგნიერების განვითარებისათვის გამოსვლა. მილტონმა დიდად შეუნყო ხელი წიგნიერი კულტურის შემდგომ აღმავლობასა და წიგნმცოდნეობის, როგორც მეცნიერული დარგის ჩამოყალიბებას.

ლიტ.:


ქართული საბჭოთა ენციკლოპედია: ტ. 6. - თბ, 1983; История Английской литературы: Т. 1-2. - М. - Л; 1945; Мильтон Джон. Ареопagitика // Корабли мысли: зарубежные писатели о книге, чтении, библиофилах, - М., 1980. - с. 25-45.

იუბილე

გურამ თაყნიაშვილი

საუკუნოვანი შემოქმედი

[მარიკა ბარათაშვილი - 100]



მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაზე რომ არაფერი ვთქვათ, ქართულ თხუთმეტსაუკუნოვან მწერლობას არ ახსოვს მარიკა ბარათაშვილის სადარი საუკუნოვანი მწერალი. იგი მართლაც საუკუნის მგალობელია. მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული, როდესაც ახალგაზრდა პოეტი ქალის გონება მთლიანად მხატვრულმა სიტყვამ დაიპყრო, მის კალამს ღვთიური მადლით ცხებული შინაგანი ხმა ამოძრავებდა, ამასთან, სულის ასეთ ძვრას მუდამ თან ახლდა მარადიულ ჭეშმარიტებათა ძიება.

ჭიათურაში, სახალხო მასწავლებლის გერვასი ბარათაშვილის ოჯახში დაბადებულ ქალიშვილს ბავშვობიდანვე დაჰყვა ლტოლვა სინათლისადმი, მგრძნობიარე გული და ადამიანთა სიყვარულის ნიჭი. მალე ამ ადამიანურმა სათუთმა გრძნობებმა

პოეზიის სიყვარულში იჩინა თავი. პოეზიის მუზამ ღრმად შეაღწია ქალიშვილის არსებაში, შეაღწია და აამღერა იმ ნედლი სალამურის ხმით, რომელიც არ არის უბრალოდ მოსასმენი, ეს სიმღერა ისეთი შინაგანი ხმით იყო ნამღერი, რომ არ შეიძლებოდა იგი მოგესმინათ ზნეობრივი განწმენდის გარეშე. პოეტ ქალს იმთავითვე ამოძრავებდა მამული-სადმი, სიცოცხლისადმი სიყვარული. ეს გრძნობა ნათლად ცხადდება მის ყოველ სტრიქონში, ცხადდება ბუნებრივი დინებით, საოცარი მუსიკალური ტონალობითა და გრძნობათა სიმძაფრით; დამწყებმა პოეტმა საბავშვო ლექსების ჟანრში მოსინჯა ძალა და უნარი. თავიდან მოკრძალებული, გაუბედავი ნაბიჯები თანდათან სითამამესა და სიცხადეს იძენდა. ბავშვებთან გაბასეების ცოცხალ მაგალითს იგი ხედავდა შიო მღვიმელის საბავშვო ლექსებში (შიო მისი ბებუის დედის დედის ძმა იყო); საბავშვო ლექსების პირველი კრებულები: "ყაჩაღანა" - 1938, "ნანული" - 1941, "სოფელა" - 1949, აღსავსეა მშობლიური კუთხისა და ბუნების სიყვარულით: "რუ ვარ პატარა, მივლილინებ გზადმიმავალი"; ეს პატარა რუ, მწვანე ბალახებსა და ყვავილნარ - მაყვლიანში რომ მიიკვლევს გზას, თავად პოეტის დიდი გზის სანყისია; ეს ნაკადული შემდეგ გაძლიერდა, აზვირთდა და ბუნებრივი ლტოლვით შეუერთდა პოეზიის დიდ მდინარეს, შეუმატა რა მას საკუთარი ხმა და მგზნებარე სულის მოძრაობა. პოეტს ათბობს გულმართალი, პატრიოტი მამულიშვილის კეთილი მზერა და მოქმედება: "მათ გაშლილ წიგნში მიყვარს ყურება, იმ დღეს ბუნებამ ნუ, ნუ მომასწროს, როცა ის წიგნი დაიხურება" ("მე გულის კარი გავხსენი ფართოდ"); 1940-იანი წლებიდან მარიკა ბარათაშვილის პოეზიაში პატრიოტულმა ნაკადმა იმძლავრა. ეს ნათლად იგრძნობა ომის თემებისადმი მიძღვნილ ლექსებში: "წერილი ფრონტიდან", "პარტიზანი ქალი", "დედა სამშობლოს" და სხვა. ამავე პერიოდს ეკუთვნის პირველი წარმატებული ცდა დრამატურგიაში. პოეტს დიდი პოპულარობა მოუპოვა ოთხმოქმედებანმა კომედია "ჭრიჭინა", რომელიც პირველად 1950 წელს დაიდგა კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. ეს პიესა წარმატებით იდგმებოდა საბჭოთა კავშირის 170

და მსოფლიო 22 ქვეყნის თეატრის სცენაზე; პიესა ითარგმა და გამოიცა რუსულ, უკრაინულ, იტალიურ, ესპანურ, ჩინურ და სხვა ენებზე, ყველაზე მეტი თარგმანი მისი თხზულებებისა გამოქვეყნებულია რუსულ ენაზე. მისი პოეზიის ნიმუშებს სხვადასხვა დროს თარგმნიდნენ გამოჩენილი მთარგმნელები: რ. კაზაკოვა, ე. ნიკოლავესკაია, მ. აკჩურიანა, ვ. ერიომენკო და სხვები. თარგმნილი ნაწარმოებები ქვეყნდებოდა ჟურნალებში "Советская женщина", "Литературная Грузия", ხოლო მისი კომედია "ჭრიჭინას" რუსული თარგმანი მთლიანად დაიბეჭდა ჟურნალში "Театр" – 1953, №7, თარგმანი მაღალ მხატვრულ დონეზე იყო შესრულებული გ. შტაინის მიერ.

დიდი პოპულარობით სარგებლობდა მ. ბარათაშვილის პიესები: "სართულები", "მაღალი ოცნება", "რატომ", "სიყვარულის ნისქვილი", "ჩქარი მატარებელი", "ჩემი ყვავილეთი", "ცეკვის მასწავლებელი" და სხვ. პიესების პირველი დიდგანიანი კრებული 1962 წელს გამოიცა. მ. ბარათაშვილის ლექსის გულწრფელი სტრიქონები ადვილად იგნებენ გზას მკითხველის გულისაკენ, ისინი უშუალო, ბუნებრივი და ლაღია და დიდხანს სტოვებს შთამბეჭდავ ნაკვალევს; ამას განაპირობებს ლექსის ამაღლებული პათოსიცა და ცაცხვის ყვავილის შესადარი სინაზეც. მაინც, რა ძალამ გადააცილა პოეტი საუკუნეს? ამ კითხვაზე პასუხი უნდა ვეძიოთ მისსავე შემოქმედებაში – რა თქმა უნდა, პირველ რიგში სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულმა, საკუთარი სულიერი სამყაროს თვითორგანიზების მაღალმა კულტურამ და შეგნებამ იმ ჭეშმარიტებისა, რომ სამშობლოს სიყვარული კეთილის ქმნადობით უნდა გააცისკროვნო. მ. ბარათაშვილს ბევრჯერ დაუდგა სულის ზეიმი; ეს პირველ რიგში მაშინ, როდესაც მისი პოეზია ხალხმა შეიყვარა და სიმღერად აქცია, როდესაც მისი პიესების მოქმედი პირები მის სათქმელს პირდაპირ გადასცემდნენ ათასობით მაყურებელსა თუ მსმენელს; მისი შინაგანი ხმა არასოდეს არ გაბზარულა; არც მაშინ, როდესაც ცხოვრებამ ტრაგიკული დღეები დაუყენა, და არც მაშინ, როდესაც მის წარმატებებზე ზეადმატებული პათოსით წერდნენ მშობლიურ თუ უცხოურ პრესაში.

პოეტის სულიერი სამყარო დღესაც აღსავსეა განცდისეული შინაარსით; მისთვის სამყარო, ქართული სინამდვილე ღრმავაროვანი მშვენიერებაა, რომელსაც ჩრდილს ვერ აყენებს ნაცრისფერი ყოფიერება. პოეტი არასოდეს არ ასულა მიუვალ

სიმაღლეზე, იგი ჩვეულებრივი, ადამიანური ქცევით იფერებს სამადლობლოს, მკითხველები და კოლეგები რომ უთვლიან კრძალვითა და დიდი სიყვარულით; მ. ბარათაშვილის მხატვრულ შემოქმედებას ყოველთვის აცისკროვნებდა მაღალი ზნეობრივი იდეალები, რომლებიც რეალურ, მიწიერ სანყისებზე იყო ლიბოშედგმული. პოეტმა უფლისაგან სულის გამოცდისათვის ნაბოძი სიცოცხლე შინაარსიანად გაატარა; მას სიამეს გვრიდა ყველაფერი, რაც სიკეთის ქმნასთან და სულიერ სრულყოფასთან იყო დაკავშირებული.

დღეს, როდესაც პოეტმა საუკუნე აათავა, იგი საოცარი შინაგანი ძალით ინარჩუნებს წონასწოებას; მომავლის რწმენას იგი ყოველთვის გადაჰყავდა რეალური შეგრძნებების სამყაროში. ამის დასტურია ამ ორი წლის წინათ გამოცემული კრებული "საპოვნელა" და "სამასი ლექსი"; კრებულისადმი მიძღვნილ სტრიქონებსა თუ რეცენზიებში ნათლად იგრძნობა შემფასებელთა გულწრფელი აღტაცება (დოდო იორდანიშვილი – "ლიტერატურული საქართველო", 2006, 31 მარტი); აღტაცებული და უფრო გაკვირებული პოეტი და



კრიტიკოსი რევაზ მიშველაძე მაშინ წერდა: "საუკუნეს ასი წლის პოეტი არ ახსოვს, ბედნიერი ხარ მკითხველო, შენ ხელთ გიპყრია ასი წლის პოეტის წიგნი" (იქვე); პოეტი რომ ას წელს გადააბიჯებდა, ამაში ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი მისი დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე მოსულნი; აკი დაბეჯითებით წერდნენ კიდევ სახობტო სიტყვებს: "ნამდვილად შეიძლება მას ყვავილების ტრფიალი ვუნოდოთ, ყვავილები თითქოს მისი უხინჯო და გამჭვირვალე სულის ანარეკლია" (ემზარ კვიციანიშვილი), "თქვენმა მარინემ ლამის მთელი პლანეტა შემოიარა ტრიუმფით" (ნანა კანდელაკი); "ათეული წლების განმავლობაში თამაშობდა მედეა ჯაფარიძე ჭრიჭინას და არასოდეს არ ბეზრდებოდა ეს ონავარი, მომხიბლავი, ჰაეროვანი, იუმორით აღსავსე სახე" (გიგა ლორთქიფანიძე, "ლიტერატურული საქართველო", 1998, 15-22 ივნისი).

ახლა, როდესაც საუკუნეს გადაცილებული პოეტის გრძნობათა სიმძლავრე თითქოს თანდათან უნდა სუსტდებოდეს, საოცარია, რომ ეს შენელება ნაკლებად იგრძნობა მის სტრიქონებში, ამის დასტურად სულ ახლახან დაწერილი ლექსიდან ერთ ტაეპს მოვუხმობთ, სადაც პოეტი პოეზიის მუხას სთხოვს, არ მიატოვოს:

"თქვენ გეხვეწებით, ნუ, ნუ მომაკლებთ, ქართული სიტყვის კაი დარობას;

თორემ მცირდება გული კვდომამდე და დანებდება გარდუვალობას".

ვიმედოვნებთ, პოეტი დიდხანს შეინარჩუნებს ამგვარ ცხოველმყოფელ გრძნობებს, ხოლო მისი შემოქმედება მარადიულ ადგილსამყოფელს დაიმკვიდრებს.

მ. ბარათაშვილის თხზულებათა ძირითადი გამოცემები:

1. საპოვნელა: ლექსები – თბ., 1958. – 171 გვ.

2. სართულები: პიესა – თბ., 1969. – 85 გვ.

3. ჭრიჭინა: პიესები – თბ., 1962. – 229 გვ.

4. დღე დღევანდელი: ლექსები. – თბ., 1969. – 47 გვ.

5. მე და ის: ლექსები. – თბ., 1975. – 123 გვ.

6. პიესები. – თბ., 1982. – 320 გვ.

7. ფიქრები, გზა და ყაყაროები: ლექსები. – თბ., 1986. – 135 გვ.

8. "საპოვნელა" და 300 ლექსი – თბ., 2005. – 240 გვ.

მარკუა ბარათაშვილი

ნუ გაიყვირებ!

როცა აყვავდა ხაღში ნუშები
 რა იცინინა ღოჯარა ცყვილოვით,
 ნუ გაიყვირებ. თუ ვიყოშები.
 ნუ გაიყვირებ. თუ ვიწვრივლოვით.

იყო... საოცარ რიცხვთა სხმყოლით
 (სხვით რიცხვით რომ მოველოდი).
 შემოვიღიროს შინ ვახსოვლო
 რა სიუჯროლოთ ვითანვებოდი.

სხვაც ვამოხსნას ყვოს თავყოლით.
 მოციხ. მოიბოძვის. ყანს ყრახუნებს.
 მე ყი ჭარებით ვამოვიცყოლი.
 შემოვიწვინებოვან „იმ“ ვახსოვლოვებს...

2008 წ.

100



ზუმრუდ გოდერძიშვილი

ქართული ლექსის მეზობრა
(იოსებ ნონეშვილი - 90)

90 წელი შესრულდა ქართველი თვალსაჩინო და პოპულარული პოეტის, იოსებ ნონეშვილის დაბადებიდან.

იოსებ ნონეშვილი წარმოადგენს ქართული პოეზიის მეტაფორულ აზროვნებას, ლექსის ჰარმონიული ჟღერადობის უბადლო ოსტატს. მისი ლექსები არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთის თითქმის ყველა ხალხთა ენაზეა თარგმნილი და გამოცემული.

ქართული სიტყვის უკიდევანო სიყვარული, თაყვანისცემა და კრძალვა უდევს საფუძვლად დიდი პოეტის შემოქმედებას. მის სტრიქონებში გამოსჭვივის შემოქმედებითი ცეცხლი, მგზნებარება და აღმაფრენა, დიდი სულიერი სამყარო, სათქმელის გამძაფრებელი, ლირიკული განცდით დამუხტული აღქმა, თვითმყოფადი პოეტური ტალანტი. იოსებ ნონეშვილის პოეზია – ეს არის ძიების, მიგნების, შთაგონების პოეზია, რომელსაც დავიწყების ფერფლი არასოდეს დაეფინება.

გასული საუკუნის 60-იან წლებს კარგად ახსოვს ერთი ნაცნობი მელოდია შთამბეჭდავი ლექსის სტრიქონებზე აჟღერებული – "გამიგონია, მთვარიან ღამეს..." სიმღერას ასრულებდა ცნობილი მომღერალი მარეხ გოძიაშვილი. ამ სიმღერამ შემდგომ თაობებსაც მრავალგზის გაუთბო გული. იოსებ ნონეშვილის შემოქმედებაში მრავალი ლექსი იქცა სიმღერად, მრავალგზის ამღერდა პოეტის შემოქმედება და დაუზინყარი ნუთების სიმბოლოდ დამკვიდრდა. გავიხსენოთ ლექსები "ყელსაბამი", "ფრთხილად იყავ, ფრთხილად იყავ, ღამაზო", "აი, კახეთი", "სად არ ვიყავ, სად არა", "საქართველოს ყელყარყარაღამაზებო", "დედის გულივითაღამარ-თალი" და მრავალი სხვა.

განსაკუთრებით კი თავისი შინაარსით და შესრულებით გამოირჩეოდა ლექსი "ბიჭო, იქნებ პაპა იყო შენი". ამ სიმღერას ცნობილი მომღერალი გიორგი ბუღაძე ასრულებდა თავის შესანიშნავი ტემპრით, იოსებ ნონეშვილის ლირიკა განსაკუთრებული და გამორჩეულია ქართულ პოეტიკაში. მისი პოეზია ხალხმა გაითავისა, სიყვარულის გუნდრუკი უკმია და ყოველდღიურობაში დაამკვიდრა.

"იოსებ ნონეშვილის პოეზია – ეს ჩვენი ცხოვრების ჰიმნია, სიცოცხლის ჰიმნია, სინამდვილის განმამტკიცებელი პოეზიაა, ადამიანის დაუსრულებელ შესაძლებლობათა გამო სიხარული და აღმაფრენა", – ამბობს მწერალი ელგუჯა მალრაძე. იოსებ ნონეშვილის თვითული ლექსი გამოირჩევა დახვეწილი ლირიკით, სიცოცხლისადმი დაუოკებელი ტრფიალით, ადამიანებისადმი სიყვარულით, მამულისადმი უსაზღვრო ერთგულებით და თავდადებით. პოეტის ცხოვრების თითოეული დღე აღინიშნებოდა ღრმა შემოქმედებითი იმპულსებით. მასში ჭარბად იყო ენთუზიაზმი,

მგზნებარება და ამალღებული რიტმი, სწრაფვა სიცოცხლისადმი, ცხოვრებისეული, ყოფითი მოვლენებისადმი. პოეტის შემოქმედება, მისი პოეტური კრედიო ყოველთვის იყო ნაკარნახები ავტორისთვის დამახასიათებელი ხედვის თვითმყოფადობით. არასოდეს არ გაჟღერებულა პოეტის შემოქმედებაში არაფრისმთქმელი სტრიქონები, მისი განუმეორებელი რითმა და რიტმი ყოველთვის წარმოადგენდა ლექსისათვის მიზნობრივად გამოყენებულ მეტაფორას და შეუცვლელ სიუჟეტს. იოსებ ნონეშვილი თითქოს საოცარი გამებით ქსოვიდა ლექსის ქსოვილს, იბადებოდა ახალი, მანამდე უთქმელი რითმა, იბადებოდა ლექსის მუსიკა, რომელიც თილისმური ძალისხმევებით იზიდავდა მსმენელს, ათრობდა და ამახსოვრებდა განუმეორებელ ნუთებს მოსმენილი სტრიქონებისას. პოეტისათვის დღესასწაული იყო ხალხთან შეხვედრა, უყვარდათ იგი – საქართველოშიც და საქართველოს გარეთაც. ეს იცოდა პოეტმა და ამიტომ ხალხთან ლექსის ნაკითხვა მისთვის განუმეორებელი ნუთები იყო. იოსებ ნონეშვილმა თავისი პოეზიით, პოეტური პათოსით დაამკვიდრა პოეზიის დღესასწაულები, პოეზიის შეხვედრები, პოეტური საღამოები, რაც ტრადიციად იქცა. არა მარტო ახალგაზრდობამ, სრულიად საქართველომ აღიარა იოსებ ნონეშვილის პოეზია ქართული თანამედროვე ლექსის სავიზიტო ბარათად. გავიხსენოთ მისი ცნობილი ლექსები: "რას გიყურებ?", "საუბარი ნაძვებთან", "შენ საქართველოს დედოფლობა დამგმვენდებოდა", "შენ არა გაქვს მეფის გვარი", "გვიყვარდეს საქართველო", "ღმერთი სიყვარულისა", "ილიას გახსენება", "გვიყვარს, – როგორ არ გვიყვარდეს", და მრავალი და მრავალი. "იოსებ ნონეშვილის პოეზია სავსეა გრძნობით, მზითა და ხალისით, მის შემოქმედებას ძირად და ფესვებად აქვს მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეტური სიტყვა, რომლის მკვებავი წყარო და საწყისი, თავის მხრივ, ხალხური ლექსი იყო", – გვესაუბრება ელგუჯა მალრაძე.

აი, ლექსი, რომელიც მთელმა საქართველომ ზეპირად იცის:

"ამ მთაზე ამოსვლა როგორღა გაბედა,
არა ვარ ასეთი გოგონას მნახველი,
მოსულა თქვენთანაც და შეუბრალებლად
დანით დაუხაზავს თავისი სახელი"
("საუბარი ნაძვებთან")

ამ სტრიქონებში პოეტის ფაქიზი დამოკიდებულება თავის გრძნობასთან, სიყვარულისადმი კრძალვა, შორეული ტრფიალი და სისადავეა გამჟღავნებული. პოეტს მშვენივრად ესმის, რომ სიყვარული – ეს პეპელას ფრთებივით ნაზი სიოა და მას მოფრთხილება ჭირდება. არსად თამამი და პრეტენზიული ხმა

არ ისმის მის ლექსებში, იგი მუდამ სალბუნე სიტყვის პოეტიკა:

"ამ მწუხარე თარის კენესაც მეყოფა,
ჭიანურის იღუმალი ღულუნიც,
რომ მუხლებზე დავუწოქო მეგობარს,
გადავუხსნა მკერდი გადაბუგული".
("მე პატარა სიხარულიც მეყოფა")

ამ ლექსში სხვანაირი შეუდარებელი სიყვარულის მუხტს ვაწყდებით, ამ სტრიქონებით პოეტმა გრძნობის ჰარმონიული იმპულსები შეაერთა და მისით მოექცა ტკბობით განცდის ლაბირინთში.

იოსებ ნონეშვილის პოეზიას, რაც შარავანდედით ამკობს მას – არის სამშობლოსადმი, მამულისადმი მიძღვნილი ლექსები. მასში ავტორის დამოკიდებულება, მისი მოქალაქეობრივი პათოსი, მამულიშვილური მოვალეობა, წრფელი, უანგარო, ტრადიციული მემკვიდრეობით გადმოცემული, პასუხისმგებლობამდე დასული გრძნობაა გამოხატული. ასეთი ლექსები კი ავტორის წიგნებში დიდხანს საძებნი არაა, ყველგან და ყოველთვის პოეტი საქართველოს მგოსნად გვევლინება და არც თუ უსაფუძვლოდ უწოდებდნენ იოსებ ნონეშვილს მგოსანს.

"ვაზის ძირში დარწეული აკვანი,
სალამურის საამური კვნესა,
გმირობის და უკვდავების ზღაპარი,
ხალხში თქმული რუსთაველის ლექსად,
ლამით ვარსკვლავებს უღიმის,
დღისით მზეს ცეცხლის ფრთიანს,
– არის ასეთი ქვეყანა, –
მას საქართველო ჰქვია!"
("არის ასეთი ქვეყანა")

ამ ლექსში საქართველოს წარსულია პოეტის თვალით აღქმული, – ისტორიულ ეპიზოდებად. წარსული და აწმყოს თანაფარდობითი შერწყმა საქართველოს წარმოსახვით პანორამას ჰქმნის. იოსებ ნონეშვილი მთლიანობაში ხატავს საქართველოს სურათს და მისთვის წარსულიც და აწმყოც მამულის უკვდავ თვალთახედვას ასახავს:

"სისხლი თავდადებულთა
ჩვენს ძარღვებში წვეთავს,
გვიყვარდეს საქართველო,
გვიყვარდეს საქართველო,
და
გვიყვარდეს საქართველო
სიცოცხლეზე მეტად!"
("გვიყვარდეს საქართველო!")

სტრიქონთა ალიტერაცია აძლიერებს პოეტურ პათეტიკას და იქმნება ჰიმნის განწყობის აღქმა. თვითონ ავტორის სურვილია, ძლიერი დინამიურობა მისცეს ლექსს და შთაბეჭდილება გააძლიეროს. ასეთივე შინაარსის ლექსებია "დიდგორით დიდი გული აქვს ქართველს", "სვეტიცხოვლის ბებერ გალავანთან", "საქართველოში გაზაფხულია", "სიმღერა არის თვით საქართველო", "დღეს საქართველოს ასე სჭირდება", "თუ საქართველო არის ედემი", "დედაო საქართველოვ" და სხვ.

თბილისი, როგორც დედაქალაქი, იოსებ ნონეშვილის შემოქმედებაში, როგორც პოეტი იტყოდა, – თვალი პატიოსანი ბადახშივით არის წარმოდგენილი და მას თავისი ხიბლი და მშვენება ახლავს პოეტური სიტყვის სახით:

"დგას თბილისი ყვავილებში,
ხეივნებში ჩახატული,
დგას თბილისი როგორც ტახტი
სიცოცხლის და გაზაფხულის".
("დგას თბილისი")

დიდი პოეტური მუხტი გააჩნია ლექსს "თბილისი ოცნების, მგოსნების ქალაქი". მასში ავტორი თბილისისადმი სიყვარულს აიგივებს მეფის ისრით დაჭრილი ხობხის იგავთან.

"თბილისი, ოცნების მგოსნების ქალაქი,
ზღაპრული ქალაქი ჯადოსნურ მხარეთა,
ჭაბუკი პოეტი ცისფერი ხალათით
დაჭრილი მიპოვეს მის რკინის კარებთან".

განსაკუთრებით უყვარდა პოეტს პოპულარიზაცია და ნაკითხვა დამსწრე საზოგადოების წინაშე თავისი ლექსისა "შემოდგომა თბილისში". ეს ლექსი 1949 წელსაა დაწერილი და მაშინ ალბათ ჭაბუკ პოეტს გულს უჩქროლებდა განსაკუთრებული არომატით გაყვნილი ქალაქის ქუჩები. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ლექსი ბევრი სცენისმოყვარულის საპროგრამო ნომრად იქცა, მას მთელი სიყვარულით მიესალმებოდა თბილისის საზოგადოება:

"შემოდგომას სულ პირველად
რუსთაველზე გაიგებ,
ქარი ფოთლებს, ჭადრის ფოთლებს
გაშლის, ფეხქვეშ გაიგებს,
... შემოსულა შემოდგომის
დოვლათი და ბარაქა,
მოილხინოს, გაიხაროს
მთელმა თბილის ქალაქმა".

იოსებ ნონეშვილის პოეზიას ქართველი ხალხის ყოველდღიურობაში აქვს ფესვები განტოტვილი. ყოველთვის ღირსეული სიყვარულით და პატივით მოიხსენიებენ დიდი მგოსნის – რუსთაველის პრემიით დაჯილდოებული მგოსნის პოეზიას.




იოსებ ნონეშვილი ერთ-ერთი თვალსაჩინო პოეტი იყო, რომელსაც აქტიური ურთიერთობა ჰქონდა ბიბლიოთეკებთან. უყვარდა იქ შევლა, ბიბლიოთეკარებთან გასაუბრება; ბევრ ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცემდა ხოლმე თავის ახალგამოცემულ წიგნებს, ყოველთვის დაუზარებლად მიდიოდა ბიბლიოთეკებში მკითხველებთან შეხვედრაზე, რაც დიდ ზეიმად გადაიქცეოდა. აღსანიშნავია, რომ ჩვენს ბიბლიოთეკებს მრავლად აქვს ი. ნონეშვილის წიგნები, რაზედაც დღემდე საკმაოდ დიდია მოთხოვნა. ისიც ცნობილია, რომ მისი ლექსების უამრავი გამოცემა არსებობს პერიოდიკაში თუ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ კრებულებში.

რეცენზიები

მარიამ ბალახაშვილი

ი. ჭავჭავაძის უნივერსიტეტის I კ. სტუდ.

ფრიად საჭირო წიგნი



ამ წიგნზე ბევრი რამ ითქმება, მაგრამ მე მინდა ჩემი საკუთარი აზრი გამოვთქვა. ინგა ფილაურის მიერ შედგენილი დამხმარე სახელმძღვანელო "ინფორმაციული წიგნიერება" ნამდვილად ყველა სტუდენტს გამოადგება. ვინც უკვე გაეცნო ამ წიგნს, დიდი ინტერესით შეხვდა მას. სამწუხაროდ, ძალიან მცირე ტირაჟით გამოიცა და სტუდენტთა უმრავლესობას არ მიეცა საშუალება შეეძინა იგი. მით უფრო დიდი მოთხოვნილება გაჩნდა მასზე, რომ სტუდენტთა მთელმა კონტინენტმა მოისმინა ლექციები მასში განხილული თემების ირგვლივ.

ინფორმაციული წიგნიერების კურსი ნამდვილად საჭირო და სასარგებლოა ყველასათვის, მისი სწავლება, უდავოდ, წინგადადგმული ნაბიჯია. კარგია, რომ იგი პირველი კურსის მთელ სემესტრს მოიცავს, თუმცა, ჩემი აზრით, უმჯობესი იქნებოდა და უფრო გაამართლებდა კიდევ, ის რომ სკოლის მაღალ კლასებში ისწავლებოდა.

ცოდნა, რომელსაც ის იძლევა, ეს გზაა ფართო ინფორმაციის მოსაპოვებლად, ერთგვარი საშუალებაა, მოიძიო, გამოავლინო, შეარჩიო და ჩამოაყალიბო საჭირო ინფორმაცია, რის წყალობითაც შეიძლება დაამუშაო თემა თუ რეფერატი, ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლო საგანი. მასში დაწვრილებითაა მოცემული ინფორმაციის სწორად მოპოვებისა და გამოყენების წესები.

ერთი შეხედვით, ეს მცირე მოცულობის წიგნი, სრულად და ამომწურავად გვისხნის ძირითად

საკითხებს – საგნის არსს, დანიშნულებასა და მიზნებს; დაწყებული სიტყვა "წიგნიერების" განმარტებიდან და წიგნის ისტორიიდან, დამთავრებული ავტორისა და საავტორო უფლებების დაცვით, რომელიც გვისხნის, თუ როგორ შეიძლება კანონიერად ვისარგებლოთ სხვისი ნაშრომებით, რომ არ გავხდეთ "ინტელექტუალური ქურდები", ყველაფერი საკმაო მოცულობით გვაცნობს იმას, რისი ცოდნაც აუცილებელია ჩვენი პრაქტიკული მოღვაწეობისათვის. ამ წიგნიდან ვღებულობთ იმ თეორიულ ცოდნას, რომელიც უნდა იცოდეს ყველა ადამიანი, რომელსაც პრეტენზია აქვს განათლებულობაზე. მნიშვნელოვანია, რომ წიგნში მოცემულია პრაქტიკული მაგალითები, რომლებიც გვიადვილებს საკითხის კარგად გაცნობასა და შესწავლას.

რაც ყველაზე მთავარია, შემდგენელმა – ქ-ნმა ინგამ შეძლო ორი ერთმანეთთან თითქოს საპირისპირო საგნის – წიგნისა და კომპიუტერის შეთავსებულობის სწორად ჩვენება. კომპიუტერის გარეშე დღეს შეუძლებელია სრულყო ცოდნა, რისთვისაც საჭიროა ინფორმაციის ოპერატიულად მიღება, წიგნი კი აუცილებელია წიგნიერების დონის ასამაღლებლად, კითხვის კულტურის ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის. ყოველივე ამაზე ზრუნავს თანამედროვე ბიბლიოთეკა, სადაც ორიენტირება და მუშაობა ამ სისტემის კარგ ცოდნას მოითხოვს. საბიბლიოთეკო საქმის გაცნობა ჩვენთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ სრულად ვისარგებლოთ იმ სიმდიდრით, რაც აქ არის თავმოყრილი.

ამ სალექციო კურსის საჭიროებაში ისიც გვარწმუნებს, რომ ჩვენი ახალგაზრდების გადამჭრელმა უმრავლესობამ არ იცის ბიბლიოთეკით სარგებლობის ელემენტალური წესები. ბიბლიოთეკა ხომ დღეს ის დანესებულებაა, რომელსაც შეუძლია სრულყოფილად დააკმაყოფილოს ჩვენი მოთხოვნილება წიგნსა და კომპიუტერულ ინფორმაციაზე. სწორედ აქ არის თავმოყრილი უდიდესი მასივი იმ წიგნებისა, რომელთა გაცნობა განვითარებისათვის აუცილებელია. ბიბლიოთეკის, როგორც სწავლების საშუალების, გამოყენების უცოდინარობა ხელისშემშლელი პირობაა მრავალი ახალგაზრდისათვის. ი. ჭავჭავაძის უნივერსიტეტის სტუდენტების დიდი ნაწილისათვის ეს პრობლემა მოხსნილია "ინფორმაციული წიგნიერების" საგნის შესწავლითა და მისი სალექციო კურსის გამოქვეყნებით.

მუროველი კასის გულწრფელი სტრიქონები

"ცხოვრებას აცისკროვნებს სული საქმით მეტყველი".

ილია

"ნლებო, შეჩერდით" – ასე უწოდა თავისი ლექსებისა და წერილების კრებულს არკადი ალთუნაშვილმა (დვალთელი). კრებულიაერთიანებსავტორის მიერ სხვადასხვა დროს შეთხზულ ასამდე ლექსსა და რამდენიმე წერილს. ლექსების პირველი ნაკითხვისთანავე თვალში გეცემათ პოეტი-ფილოლოგის ღრმად ერუდირებული, ქართულ პოეტურ სამყაროში კარგად ჩახედული და, რაც მთავარია, ქვეყნის სიყვარულით გულანთებული კაცის ნათელი სახე. პოეტი, პედაგოგი, არაერთი თაობის აღმზრდელი, ქართული მხატვრული ლიტერატურის ნიმუშების გადმოცემის უბადლო ოსტატი – ასეთად იცნობენ მას ახლაც სოფ. პატარა თონეთის სკოლაში, ასე ახასიათებენ მას თბილისის 125-ე საჯარო სკოლაში, სადაც იგი წლების განმავლობაში მოზარდ თაობას ქართულ ლიტერატურას ასწავლიდა, აყვარებდა; მისი ახსნილი გაკვეთილი მუდამ ემოციური, ხატოვანი და დამაჯერებელი იყო. მისი პოეტური სამყარო ჭაბუკობის წლებიდან იღებს სათავეს; პოეტური სტრიქონი გულწრფელია, მხატვრული ფორმით მიმზიდველი, ადვილად აღსაქმელი და წასაკითხი. მის ლექსებში ვერ ნახავთ ყოველდღიური ყოფით გამოწვეული შთაბეჭდილებების უფერულ გადმოცემას; პირიქით – პოეტი შემართული და ამალღებულია, მას არ სცალია უდიდამო ამოებისათვის; მუზების მორჩილი პოეტის ცხოვრების პრინციპი სულიერ და ფიზიკურ საწყისებზე დაფუძნებული; მრავალმხრივი შემოქმედი დღენიდაგ იხარჯება თავდაუზოგავად; იხარჯება სულიერად, ფიზიკურად; იგი ნამდვილი მშენებელია, ამასთან, შემოქმედი მშენებელი – კირით ხურო, დურგალი, ხალხურ საკრავთა მკეთებელიც, და ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენი რამის შექმნა და გაკეთება შეუძლია მის მარჯვენასა და გონებას. მსმენელი ხალისდება, როცა არკადის უსმენს საკუთარი ხელით გათლილ ფანდურზე ომახიანად რომ დაამღერებს საკუთარი ლექსის სტრიქონებს:

"ჩემი სული ხან, ფანდურო,
გათლილო ჩემი ხელითა,
მინდა ჩამოგკრა თითები,
რომ დავტკბე შენი ჟღერითა".

შრომასა და გარჯაში, სწავლასა და ინტელექტუალურ შესაძლებლობების თავდაუზოგავად ხარჯვაში გალია ა. ალთუნაშვილმა რვა ათეული წელი; და ახლა, როდესაც კარგა ხანია შემოაცვდა სიჭაბუკის პერანგი, იგი კვლავ შემართული, მხნე და ოპტიმისტი; მას დიდი სურვილი აქვს ჟანგისფერი დროჟამის ულმობელი დინების შეჩერებისა; მისი ვაჟკაცური შეძახილი "ნლებო, შეჩერდით"

ერთგვარი მცდელობა უფრო მეტი მოასწროს, უფრო ღრმა კვალი დაამჩნიოს ამქვეყნად მის მოვლენას; ნამი – ნამიერების გახანგრძლივება პოეტს ესაჭიროება, რათა მადლობის სიტყვები შესწიროს განგებას მისი მოვლენისა და იმ ძალის ბოძებისათვის, რომელმაც ასე მხატვრულად აახშიანა მისი სულიერი სამყარო. პოეტი დარწმუნებულია, რომ უკვდავებას პოეზიის სამყაროში შესვლითა და იქ დამკვიდრებით მოიპოვებს:

"არ შევეპუე სანუთროს,
ხმალი შემოგკარ მძლავრდა,
უკვდავება რომ მეპოვა,
ლექსი მოვიხმე წამლადა".

სამშობლოს ბედზე დაფიქრებული პოეტი იმედოვნებს, რომ ეს დროებითი სიძნელე დაძლეული უნდა იქნეს შრომით, ოპტიმიზმით, ერთად დგომითა და ღრმა რწმენით; იგი წარსულს არ მისტირის და არც ივიწყებს; ანმყოში ტრიალებს და მომავალს ოპტიმიზმით უყურებს; პოეტი ვერ ეგუება გაურჯელობას, უდარდელობას, დროის დინებას მიყოლილი ახალგაზრდების საქციელს:

ა. ალთუნაშვილი (ალაღთელი)

ვლადო შეჩერდით

(ლექსები და წერილები)

თბილისი
2008

"გაიზარდე? შენს სამშობლოს
უნდა დასდო ამაგია,
უქმად ყოფნა, რომ იცოდე,
შენი ერის ღალატია".

სოფლად, თრიალეთის ქედის სამხრეთის
კალთებზე, მდინარე ალგეთის ხეობაში გაზრდილი
კაცი ნამდვილი ბუნების შვილია, ლექსებში ჩანს
მისი ტრფიალი უნაზესი ყვავილებისა და ამაყი
მთებისადმი, ზაფხულობითაც რომ არ იშორებენ
თეთრ საფარს. მშობლიური სოფლის სიყვარული
მისთვის იგივე ქვეყნის სიყვარულია:

"შენ გიმღერი ყრმობის კერავ,
საყვარელო ჩემო დვალთა,
შენი მინის ნაჟური ვარ
და მლოცველი სალოცავთა".

ეს არის ნამდვილი სიყვარული მამულისა, საქმით
დადასტურებული და ნაყოფით გაცხადებული,
სიცოცხლის სიყვარული, სწრაფვა სრულყოფილ-
ებისადმი ახალ სტიმულს აძლევს მის მხატვრულ
სიტყვას; 1990-იანი წლების შემდეგ შექმნილ
ლექსებში ნათლად ჩანს ის სოციალური რეალობის
ფონი, რომელიც ქვეყანაშია შექმნილი, ამ სტრიქო-
ნებში ნამდვილად იგრძნობა დროსთან პოეტური
კონტაქტის მცდელობა, პოეტი თავდაჯერებული და
საკუთარ ფეხზე მდგომია, რაკი საკუთარი გარჯით
ეხმიანება ქვეყნის წარსულს:

"მადლობელი ვარ, უფალო,

რომ გამაჩინე კაცადა,
სამშობლოში ვარ, ვთამამობ,
კაცი დავდივარ ღალადა".

პოეტის აზრით, თავი უნდა დავანებოთ ამო
ფიქრ-დარსა, ქვეყანას არ გამოლევია ძალები,
თითოეულმა საკუთარი შესაძლებლობები არ უნდა
დაიშუროს:

"მოვა დრო, აღორძინდება
ტურფა სამშობლო ჩვენია".

ეს სიტყვები მართალი კაცის ნათქვამია, კაცისა,
რომელიც საქმეს რწმენით უძღვება და სწამს,
რომ პოეზიამ მკითხველს უნდა უჩვენოს უზნეო-
ბაზე ამალღებისა და პატრიოტიზმის ნამდვილი
მაგალითი.

არკადი ალთუნაშვილმა სულიერი გზის მძიმე
ეტაპები განვლო; მის პოეზიაში ნათლად იგრძნობა
სიამაყის, ღირსებისა და კეთილშობილების პათოსი.
პოეტი ბავშვობიდანვე ეზიარა წიგნის სიბრძნეს, შეიყ-
ვარა იგი და თანამგზავრად გაიხადა, შექმნა საკუთარი
გემოვნებით შერჩეული პირადი ბიბლიოთეკა, კითხვა
გახდა მისი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი
წილი. სწორედ შემოქმედებითმა აზროვნებამ,
რწმენამ, სწრაფვამ სინათლისადმი და კაცთმოყვარე-
ობამ შეუნარჩუნა მას ინტელექტის სიცხადე, ხალასი
გონება და სალად აზროვნების უნარი.

გურამ თაყნიაშვილი

წიგნის ხელმოწერა სისოცხლა

(ეგნატე გაბლიანის "ჯიხვი სვანეთის მთებში")

ჭეშმარიტებაა, რომ "ყველა წიგნს თავისი ბედი
აქვს", მაგრამ სავსებით განსხვავებული და შეუქცე-
ვადი. ამ წიგნის ბედი მეტად მძიმე და საეკლალაო
იყო. შეიძლება ითქვას, რომ ამ წიგნმა და ავტორმა
ერთმანეთის მძიმე ხვედრი თანაბრად გაიზიარეს,
მაგრამ წიგნი კვლავ აღსდგა, ახალი ცხოვრება
დაიწყო, ხოლო მისი შემქმნელი — ეგნატე გაბლი-
ანი, მუხბალი ბედის წყალობით, სამუდამოდ ამოიკ-
ვეთა ამ ცხოვრებიდან ფიზიკურად, თუმცა სული-
ერად ის თავისმა შემოქმედებამ გადაარჩინა.

ეგნატე გიორგის ძე გაბლიანი ერთ დროს
მთელ სვანეთში ცნობილი კაცი იყო, რომლის
ხსოვნა დღემდე შემონახულა აქ. დაიბადა 1883
წელს. პირადი საქმეები იტყობინება, რომ წარმო-
შობით იყო "გლეხი ზემო მულახიდან". თავისი
მონდომებისა და ნიჭის წყალობით, ის მთელ
სვანეთში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.
გაოცებას იწვევს მისი მოღვაწეობის დიაპაზონი
— პედაგოგი, რაც იყო მისი უმთავრესი მოწოდება,
კორესპონდენტი, სხვადასხვა დროს მუშაობდა
ბოქაულად, მესტიის მუზეუმის დირექტორად,
საბჭოთა ხელისუფლების დროს მოღვაწეობდა
ზემო სვანეთის გამგებლის მოადგილედ. ხელი-

სუფლებამ კარგად იცოდა, ეგნატე გაბლიანი
კეთილი თვალთ არ უყრებდა მათ წყობას, მაგრამ
ისეთ ურჩ და თავისებურ რეგიონში, როგორც
სვანეთი იყო, მას ჭირდებოდა ასეთი ადამიანების
ავტორიტეტის გამოყენება, მაგრამ როგორც
კი მომძლავრდა, დაუნდობლად განირა ისინი
"ძველი ცოდვებისათვის", თუმცა ეგნატე გაბლი-
ანის ბედი ყოველთვის ბენვზე ეკიდა. ერთ
პერიოდს — 1921 წლამდე, საქართველოში არალე-
გალურად ცხოვრობდა. იყო სოციალ-ფედერა-
ლისტი, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის
დაუცხრომელი მებრძოლი. ჯერ კიდევ 1921 წელს
დააპატიმრეს ანტისაბჭოთა პროპაგანდისათვის,
მაგრამ მალე გაანთავისუფლეს. 1924 წლის
ქართველი ხალხის საბჭოთა წყობილების წინა-
აღმდეგ ამბოხებაში ერთ-ერთ აქტიურ ფიგურას
წარმოადგენდა, ოფიციალურად იყო ჩართული
აჯანყების ხელმძღვანელ რგოლში. ამის გამო მას
ათი წლით პატიმრობა მიუსაჯეს, მაგრამ შემდეგ
ქალაქიდან გაუსვლელობის სასჯელით შეუტ-
ვალეს.

სწორედ ამ პერიოდში დაიწყო მან აქტიური
შემოქმედებითი მოღვაწეობა. 1925 წელს გამო-



აქვეყნა ნარკვევი "ძველი და ახალი სვანეთი". ამ წიგნის მიზანი იყო ხელისუფლებისა და საზოგადოებისათვის მიექცევიანებინა ყურადღება სვანეთის ცხოვრების უმძიმესი პირობებისათვის. 1927-ში აქვეყნებს წიგნს "თავისუფალი სვანეთი", რომელშიც მრავალ ეთნიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებს ეხება.

1930 წელს პირველად გამოქვეყნდა მისი დიდად საინტერესო, ცხოვრებისეული გამოცდილებითა და მაგალითებით დატვირთული წიგნი "ჯიხვი სვანეთის მთებში". ე. გაბლიანი თვითონ გამობრძნედილი მონადირე იყო და ბევრი დაკვირვება ჰქონდა ამ საქმიანობაზე, რაც წარმატებით გამოიყენა თავის ნაშრომში.

1937 წელს, როდესაც ის საბოლოოდ დაიჭირეს და "ტროიკის" გადაწყვეტილებით დახვრიტეს, ცხადია, მისი წიგნებიც განადგურდებოდა.

ძნელად იპოვით ადამიანს, რომელიც საფუძვლიანად იცნობდეს ეგნატე გაბლიანის არავრცელ, მაგრამ საინტერესო და მაღალი ღირსების შემოქმედებას. მისი ნაშრომები დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას. განსაკუთრებით საინტერესოა ის ბუნებისმყოფარულთა, ეთნოგრაფთა, მხარეთმცოდნეთათვის, თუმცა ყველა მკითხველის ყურადღება შეუძლია მიიპყროს.

ამ წიგნის გამოჩენას ჩვენი მკითხველი უეჭველად უნდა უმადლოდეს ტექნიკური დარგის ცნობილ სპეციალისტს – პოლინა თოიძეს.

ქ-ნ პოლინამ 1980 წელს დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი, სპეციალობით ბიოფიზიკოსია, ამჟამად არის ტექნ. უნივერსიტეტის ბიომასალებისა და სამედიცინო პოლიმერების ცენტრის თანამშრომელი, აქვს გამოქვეყნებული პროფესიული სტატიები, სპეციალობით მოღვაწეობს და, ამდენად, ერთგვარად არაადექვატურად გვეჩვენება მისი ნაშრომი ჰუმანიტარულ დარგში, მაგრამ ამას თავისებური გამართლება აქვს: მოხდა ისე, რომ სვანეთის ახლოს გაცნობა ძალიან ადრე მოუხდა. ჯერ კიდევ 10 წლის გოგონა მამამ, რომელიც მესტიაში მუშაობდა, ოჯახთან ერთად ამ მადლიან კუთხეში წაიყვანა საზაფხულოდ, ბავშვი გააცნა სვანეთის გზამ, ენგურის ხეობის წარმტაცმა ბუნებამ, ყინვარებმა, სვანურმა კოშკებმა. დროთა განმავლობაში განუყრელად დაუკავშირდა სვანურ ოჯახებს, და მათ მიერ მოხიბლულმა, გადაწყვიტა სვანური ენა შეესწავლა. ამ სურვილმა მიიყვანა ის თბილისის უნივერსიტეტში, სადაც მომავალ ფილოლოგებს სვანური ენის კურსს პროფ. ზ. ჭუმბურიძე უკითხავდა.

სვანეთით დაინტერესებული ახალგაზრდა ერთხელ შესაბამის ლიტერატურას რომ ეძებდა, მოულოდნელად ბუკინისტებთან წააწყდა პატარა წიგნს, რომელსაც თავ-ბოლო არ ჰქონდა და ავტორის ვინაობა ვერ იქნა გარკვეული, სათაური კი შემორჩენოდა – "ძველი და ახალი სვანეთი".

გასაჭირიდან მეცნ. აკადემიის ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა გამოიყვანეს – ავტორი დაადგინეს, მაგრამ მის შესახებ არავითარი ცნობები არ არსებობდა. მაგრამ ბიბლიოთეკებში ძიებამ თავისი ნაყოფი გამოიღო: გრიშაშვილის სახლ-მუზეუმის ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა ამ წიგნის ხელუხლებელი ეგზემპლარი გრიშაშვილისადმი ავტორის მიერ მიძღვნილი ავტოგრაფით. წიგნში ე. გაბლიანის პორტრეტი იყო ჩაბეჭდილი.



ქ-ნ პოლინამ განაგრძო ძიება სხვადასხვა ბიბლიოთეკებში, სხვა წყაროებიც მოიშველია და შეიტყო, რომ ე. გაბლიანს სამი წიგნი ჰქონდა გამოქვეყნებული, მესამე სწორედ ეს იყო – "ჯიხვი სვანეთის მთებში" (1930). საბოლოოდ არქივს მიმართა, სადაც საჭირო ცნობები მიიღო გაბლიანის შესახებ. ამ დროს გაარკვია მისი საბოლოო ბედი.

ვიდრე საბრალდებო დასკვნას გაეცნობოდა, ის განუწყვეტილად ძიებაში იყო, დიდი ჯაფის შედეგად აღმოაჩინა, რომ ე. გაბლიანის შესახებ არსებული ცნობები სხვადასხვა წიგნებში, მაგრამ განსაკუთრებით საგულისხმოა ზ. შანშიევის ნაშრომი, რომელშიც ავტორი უზადლო ოსტატობით, დიდი ნიჭიერებით, მაღალმხატვრულად წარმოგვისახავს

გაბლიანის პიროვნულ თავისებურებას, მის აღნაგობას, გარეგნულ შეხედულებას. რომ უფრო ობიექტურად და სრულყოფილად იქნეს წარმოდგენილი, როგორ ხატავს ზ. შანშიაშვილი ე. გაბლიანს, უმჯობესია ორიგინალში გავაცნოთ ის ჩვენს მკითხველს:

"Трудно себе представить более удачное воплощение всех черт героического племени в одном лице: громадного роста, статный, крупные черты строгого лица, орлиный взгляд, поступ мягкая, мысли затаенные, спокойствие безбрежное, движения уверенные, фразы короткие, категорические; тембр голоса особенный, как бы исходящий из нутра, заглушенный, и вместе с тем, мощный — особый голос свана... При встрече с ним, — будь то женщина или мужчина, — никто не ограничивается одним только кивком головы: каждый тянулся к Игнату с традиционным поцелуем, выражая свои братские чувства... Несмотря на свое превосходство, Игнат не позволял себе пренебрегать обычаями народа". (Шаншиев З. По сванетии: Путевые записки. — Тб., 1931).

ეგნატე გაბლიანი მთელ ძალღონეს ახმარდა სვანეთის ისტორიული საგანძურის დაცვას, მშობლიური ხალხის გვერდით დგომას, მათთან ყოფნას; ყოველთვის მოვლენების შუაგულში იყო. 1918 წელს უყოყმანოდ მიატოვა ქუთაისი და სვანეთში გადავიდა. მისი ნარკვევები სწორედ იმისკენ იყო მიმართული, რომ ხელი შეეწყო სვანური კულტურისა და ეკონომიკის განვითარებისათვის, 1928 წელს, როცა ზემო სვანეთის გამგებლის მოადგილე იყო, მოსკოვში გაემგზავრა, ინახულა მ. კალინინი და მიაღწია იმას, რომ სვანეთში გზების მშენებლობა დაეფინანსებინათ.

რაც შეეხება მის წიგნს "ჯიხვი სვანეთის მთებში" — ჩვენი მკითხველებისათვის ნამდვილ სასიხარულო ფაქტს წარმოადგენს. კვლავ ცხოვრებას დაუბრუნდა ის, ახლებური სახითა და აღნაგობით, თანაც ნაწილობრივ შეუნარჩუნდა თავისი კოლორიტი და იერი. გამოყენებულ იქნა ის ფოტოები, რომლებიც პირველ გამოცემას ერთვოდა. ამგვარად, მივიღეთ ერთი ახალი წიგნი (გაბლიანი

ეგნატე. ჯიხვი სვანეთის მთებში /ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო პოლინა თოიძემ. — თბ., 2008. — 77 გვ.).

წიგნს ბოლოში დართული აქვს პოემად დანერილი სვანური თქმულება "ბეთქილი", რომელიც ეგნატე გაბლიანის 12 წლის ვაჟმა გადმოაქართულა იმ დროს.

ნიჭიერი ყმაწვილი — გივი გაბლიანი ომის დროს ტყვედ ჩავარდა, ველარ დაბრუნდა და ამერიკაში დაიდო ბინა თავისი ქვეყნისა და დედის ნატრულმა, რომელიც მის გამო რეპრესირებულ იქნა, ხოლო საყვარელი და ეთერი ხომ ჯერ კიდევ 1940 წელს გარდაიცვალა და სამუდამოდ დატოვა გაუნელებელი სევდა-ნალღველი. ეგნატეს მეუღლე — ქ-ნი ვერა თევზაძე, რომელიც დიდი ძალისხმევით ართმევდა თავს ერთიერთმანეთზე თავდატეხილ უბედურებებს, ისე გარდაიცვალა, ერთადერთი ვაჟის ნახვის სურვილიც ვერ აიხდინა. მთელი მისი შეგნებული ცხოვრება პედაგოგიურ სამსახურს დაუკავშირა. ის მთელ ქალაქში ცნობილი რუსული ენის მასწავლებელი იყო.

არ შეიძლება ქართველმა საზოგადოებრიობამ მაღლიერებით არ აღნიშნოს ქ-ნ პოლინა თოიძის თავგამოდება — სამზოვზე გამოეტანა ქვეყნისათვის თავდადებული, უკვე მივინყების გზაზე შემდგარი რაინდის სახელი და მისი ერთ-ერთი საინტერესო ნაშრომი "ჯიხვი სვანეთის მთებში". დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ წიგნში ნახონ ლიტერატურა, რომელშიც სხვადასხვა ავტორების მიერ მოხსენებულია ეგნატე გაბლიანი, დანვრლებით შეისწავლონ ამ მაღალი სულის ადამიანის ცხოვრება და შემოქმედება, იხილონ მისი ფოტოსურათები. ამ საქმეში მათ ხელს შეუწყობს პ. თოიძის საკმაოდ ვრცელი და საინტერესო გამოკვლევა — "ეგნატე გაბლიანი — სვანეთის მოამაგე მკვლევარი", რომელიც წინასიტყვაობის სახითაა მოცემული.

ე. გაბლიანის წერის მანერა, სტილი, თხრობა გამოირჩევა სისადავით, კარგი ქართულით, ლაკონურობით, დაკვირვებით მიღებული შედეგების ღრმა ანალიზით, დაძაბული პერიპეტივებით, საინტერესო სიახლეებით, რაც მეტ ფასს ძენს პატარა, მაგრამ წარმტაც წიგნს, რომელსაც ხელმეორე სიცოცხლე ერგო.

მასალა მოამზადა ალ. ლორიაძე



წიგნში ჩაქსოვილი სული და გული

წიგნის ბიბლიოგრაფიული აღწერა მოკლე და ლაკონურია — აბას აბდულა. შუა გზაზე: დრამატული პოემა/აზერბაიჯანულიდან თარგმნა ავთანდილ წაქაძემ; რედაქტორები ანზორ ხმალაძე, სულეიმან სულეიმანოვი. თბ., 1999. მაგრამ ძალიან ძნელია ასე მოკლედ და ლაკონურად ილაპარაკო თვით ამ წიგნზე. ეს პატარა წიგნი, რომელიც ასიოდე გვერდს შეადგენს, უსაზღვროდ დიდ გრძნობებსა და ფიქრებს შეიცავს, ანოტაციაც მოკლე, მაგრამ ბევრის მთქმელია: "დრამატული პოემა ქართველი ხალხის სულიერი მამის, დიდი მწერლის ილია ჭავჭავაძის დიდებული ცხოვრებისა და მისი ტრაგიკული სიკვდილის შესახებ".

ეს წიგნი კარგა ხანია გამოცემულია, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოების ფართო ფენებისათვის არ აღმოჩნდა მისი ღირსებისათვის შესაფერისად ნაცნობი. ამიტომაც გვინდა, ილიას უკვე ჩავლილი, მაგრამ ჯერ კიდევ ცხოველი საიუბილეო დღეების ფონზე კვლავ გავიხსენოთ ის და ჩვენი ჟურნალის მკითხველებს ბეჯითად გავაცნოთ.


წაწარმოები ფრიად ორიგინალურია. უპირველეს ყოვლისა, ორიგინალურია მისი სათაური — "შუა გზაზე". ეს ერთგვარად ორგვარ გაგებასთანაა დაკავშირებული. "შუა გზა" გააზრებულია როგორც ნამდვილი გზა, სადაც მოკლეს ილია, მეორე მხრივ კი — ის გულისხმობს ილის ცხოვრებისეულ და შემოქმედებით გზას, რომელიც განყდა და ბუნებრივად ვერ დასრულდა.

პოემა თავისი კონსტრუქციითა და შინაარსობრივი წყობითაც სავსებით განსხვავებულია ჩვეულებრივი ტრადიციული ჟანრისაგან. იგი შედგება ერთი იდეით, ერთ შინაარსობრივ ხაზს დაქვემდებარებული ლექსებისაგან. აქვს პროლოგი, სამი თავი და ეპილოგი. სიუჟეტი არ შედგება თანმიმდევრული ფაბულისაგან, მაგრამ მასში მაღალოსტატურად, უბადლო პოეტური ენითა და სიმძაფრით ასახულია ილიას ცხოვრების დეტალები, გადმოცემულია მოვლენებთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური განცდები, მრავლადაა ღირიული გადახრები, პოეტის დამოკიდებულების გამომსახველი გრძნობები. წიგნში მეტად საგულისხმო ადგილს წარმოადგენს დასკვნითი ნაწილი, სადაც გადმოცემულია აზერბაიჯანელი ხალხის გულშემძვრელი განცდები ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით. ამას ნათლად გამოხატავს ლექსები: "ჯალილ მამედ-გულიზადეს ქალიშვილის, ქალბატონ მუნავარის ერთი საუბრიდან", "ფიქრობს მირზა ჯალალი", "უსამართლო ქარავანი", რომელსაც ახლავს ჭუსეინ მინასაზოვის სიტყვები: "ილია ჭავჭავაძე მოჰკლეს. მისი სახით მთელი ცხოვრების მანძილზე ხალხთა ურთიერთობებისა და ერთმანეთთან დაახლოების ყველა გზა მოჭრეს". აქვე გვეუწყება, რომ "ილიას სიკვდილზე ლებისელმა აშულმა აშულ ნურიმ ბაი-

ათი თქვა".

პირველ თავს ეწოდება "გზის დასაწყისი", მეორე თავს — "შუა გზაზე", მესამეს — "უსასრულო გზების მგზავრები". პოეტი თავის პოემაში გამოდის როგორც ყველაფრის მნახველი და მონაწილე, ალაპარაკებს ილიას, ცოცხალ ადამიანებსა თუ ბუნებას — მთებს, ძეგლებს, გზებს. განსაკუთრებული პოეტური ალტკინებითა და სიმძაფრით გამოირჩევა ლექსები: "შეხვედრა სიკვდილთან", "სისხლი სისხლის წილ! იტყვის გურია", "ილია ვარ!", "სიკვდილის წინ დანერილი ნეკროლოგი", "სისხლიანი სიზმარი", ეპილოგში შესული ლექსი "ანგელოზთა ლაღადისი".

საგულისხმოა, რომ თარგმანი სავსებით ინარჩუნებს ქართულად პოეტური მეტყველების სპეციფიკას.



არ შეიძლება, ქართველმა ხალხმა მაღლიერებით არ აღნიშნოს აბას აბდულას მიერ გამოხატული ის დიდი გრძნობა ილიასა და საქართველოსადმი, რაც მუდამ თან ახლავს მას. აბდულას პიროვნებას თვით წიგნი გვაცნობს მისი ერთ-ერთი რედაქტორის სულეიმან სულეიმანოვის წინასიტყვაობის მეშვეობით:

"აბასი აბდულას შემოქმედება, — წერს სულეიმან

სულიმანოვი, — ნიზამის, ხაგანისა და ვაგიფის მძლავრი ფესვებიდანაა აღმოცენებული და ნასაზღვროები".

აბას აბდულა კარგა ხანს იყო ჟურნალ "უნდუზ"-ის მთავარი რედაქტორი, სწორედ ამ პერიოდში დაუთმო ჟურნალმა მნიშვნელოვანი ადგილი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას. იგი სისტემატურად აქვეყნებდა ქართველ მწერალთა თარგმანებს. რაც შეეხება მისი პოემის ლექსებს, თითქმის ყველა ორიგინალში იქნა გამოქვეყნებული სხვადასხვა დროს გაზეთ "გურჯისტანში", რომელსაც სულიმან სულიმანოვი რედაქტორობდა. იგი იგონებს: "მასხოვს, აბას აბდულას 20-30 წლის წინანდელი სამუშაო ოთახი, რომელსაც დიდი ილიას პორტრეტი ამშვენებდა, ხოლო მის საწერ მაგიდაზე ილიას ნაწარმოებების ხილვა სრულიად არ მაკვირვებდა, რადგან ვიცოდი, პოეტის დაინტერესება ქართული ლიტერატურისა და პუბლიცისტიკის კორიფეებისადმი შემთხვევითი არ იყო. ეს მისი შემოქმედების ქვაკუთხედი გახლავთ..."

ილიას შესახებ დრამატული პოემის შექმნამდე აბას აბდულამ საგულდაგულოდ შეისწავლა არქივებში დაცული ყველა მასალა, რომელიც ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ნათელს მოჰფენდა. ფეხდაფეხ მოიარა ის ადგილები, რომლებიც ილიას სახელთანაა დაკავშირებული:

წინამური და საგურამო, თბილისი და ყვარელი... აი, ასე იწერებოდა "შუა გზაზე", რომლითაც მან, როგორც პოეტმა, კიდევ ერთხელ ჩაიკრა გულში ის ხალხი და მიწა, სადაც დაიბადა და ფეხი აიდგა".

აბას აბდულა ბაქოში ცხოვრობს, მაგრამ "წუთითაც არ ივინყებს მშობლიურ საქართველოს, იგი ბოლნისის რაიონის სოფ. ქაფანაჩხში დაიბადა. ქართული რძლისაგან ისწავლა. იგი ხალხური მელექსის — ალხას ალას შთამომავალი და ილიას ახლო მეგობრის — ემინ ალა ჰაჯალაოღლუს შვილიშვილია, მათი საქმის გამგრძელებელი.

მთარგმნელი ავთანდილ ნაქაძე იგონებს:

"საქართველოზე საუბრისას თვალეში ნოსტალგია ვიგრძენი, იგი ერთხანს გაჩუმდა და შემდეგ ყრმობისას დაწერილი ლექსის ერთი სტროფი მითხრა:

"შენი მთების მნახველს გული

საგულეში ჩამიდგება,

მაგ ველ-მინდვრებს დავინახავ —

ჩემს ოცნებებს ფრთა ესხმება.

მოჩუხჩუხე შენი წყარო

მკერდს სიცოცხლედ დამეღვრება,

როცა გტოვებ, საქართველოვ,

სული ჩემი შენთან რჩება.

მასალა მოამზადა ალ. ლორია

ინგა ფილაური


მშვენიერება ოჯახურ გარემოში

ამ ოჯახში ყველაფერი მშვენიერია — ყველა ადამიანი და ყველა ნივთი. შეაბიჯებ ფეხს მთავარ, მისაღებ ოთახში და გული გაგინათდება. კედლებიდან სადა, მაგრამ ლამაზ ჩარჩოებიდან ფერად-ფერადი ნახატები შემოგანათებთ — მთები და მინდვრები, ზღვა და იალქნები, ზღვისპირა ქალაქები და ადამიანები, ფიჭვის გირჩები და ხის ტოტები. ჭურჭელი და ნატურმორტი, ყვავილები, ყვავილები, ყვავილები — ათასნაირი, ათასფერი, ათასგვარი! ყოველივე ეს ჰარმონიულად არის ერთმანეთთან განთავსებული და საოცარ სილამაზეს ქმნის; მაგრამ გაცუბას აღარ აქვს საზღვარი, როცა გაიგებ, რომ ყოველი ნამუშევარი არც ზეთის საღებავითა და არც გუაშითაა შესრულებული, არც აკვარელი და არც ფანქარია გამოყენებული, არც ფლომასტერი და არც ფერადი ცარცი... არც ერთი სახატავი საშუალებით არ არის ის შექმნილი, შესრულებულია ნემსითა და ფერადი ძაფით, ჩვეულებრივი, ხალხური ქარგვის ხერხით.

თვალს არ უჯერებ ადამიანი — ნუთუ ეს ყველაფერი ჩვეულებრივი ნაქარგია? რა ხელმა გამოიყვანა ეს შედეგები? ძალიან დიდი დაკვირვების

შედეგად შეგიძლიათ დაინახოთ, რა ნახელავთან გაქვთ საქმე. მე ამ საქმეში ჩახედული არა ვარ, მაგრამ ხელოვნება მხოლოდ სპეციალისტებისათვის ხომ არ იქნება, მისი მომხმარებელი ხომ ხალხია? და მეც, როგორც ერთ-ერთი დამთვალეირებული ხელოვნების თავყანისმცემელი, გაცუბასა და აღფრთოვანებას ვერ ვმაღავ, მაკვირვებს და მიტაცებს თვალთ ნანახი. თანაც მიკვირს წარმოვიდგინო — რა შრომა გასწია მისმა შემქმნელმა. მან ხომ მხოლოდ ნემსითა და ფერად-ფერადი ძაფებით შეძლო ამოდენა ტილოების ამოქარგვა. ის არავითარ ტექნიკურ საშუალებებს არ იყენებს, მხოლოდ ხელით მუშაობს, უძველესი მამა-პაპური ნესით.

ქალბატონი დიანა ჯობაძე-გურგენიძისა — დიასახლისი ამ ლამაზი ოჯახის, თავის ამ ნაშრომებს სრულებითაც არ მიიჩნევს განსაკუთრებულად, ეს ხომ მისი სულიერი მოთხოვნილებაა, გონების საზრდო და გამახალისებელი. ეს მისი საყვარელი საქმეა და მოცალეობის დროს დიდი ხალისით ასრულებს. სწორედ ამის გამოა, რომ არასოდეს უფიქრია საზოგადოებისათვის გამოეფინა მისი ეს მშვენიერი ნამუშევრები. ისინი ნამდვილი ოსტა-



ტობის მაქსიმალურ ზღვარსაა მიღწეული და დასა-
ნანია, რომ საზოგადოება არ გასცნობია მას.


ქ-ნი დიანა მხატვარი არ არის, თუმცა სულით
ის ნამდვილად ხატვის მუზის მოთაყვანეა.
მოსაქარგად ირჩევს იმ მხატვრულ ტილოებს,
რომლებიც კი მოეწონება, იქნება ეს გამოცემული
ღია ბარათის, ალბომისა თუ ჟურნალის სახით,
ჩვეულებრივი ფოტო, ფერწერული ნამუშევარი თუ
კომპიუტერული კომპოზიცია. სრულიად პატარა
ნახატი რომ იყოს – გადაიღებს, კომპიუტერის
მეშვეობით გაადიდებს საჭირო ზომამდე, და თუ
გადაწყვეტს, მის მოქარგვას შეუდგება. ტილოზე
შავად აკეთებს კოპირებას, მხოლოდ ძირითად
კონტურებს გამოხატავს, და მერე თვალთ ახდენს
ზოგი ადგილის "შეესებას". თუ ამას ქარგვის
სპეციფიკა მოითხოვს, ნახატში მცირე კორექციას
აკეთებს, ამუშავებს დეტალებს, ხვენავს, და როცა
ობიექტი შავ-თეთრად გამოსახება ტილოზე,
ქარგვას შეუდგება, თანაც შეჰყურებს ორიგინალს
და აზუსტებს – სად რა ფერია გამოყენებული, სად
მუქი ხაზებია, სად ბაცი, როგორაა შესრულებული
შუქ-ჩრდილები, როგორაა დაჭერილი პროპორცი-
ები, პერსპექტივა და ამის მიხედვით გატაცებით
მუშაობას.

ვინც ქ-ნი დიანას ოჯახში მოხვდება, ალტაცე-
ბაში მოყავს მის ნახელავს, აქ სხვაც ბევრია
საყურადღებო, მაგრამ განსაკუთრებულ ღირე-

ბულებას წარმოადგენს ის მინიატურული ნიგნები
და რუსთაველის მსოფლიო გამოცემების უმდიდ-
რესი კოლექცია, რომელსაც ცნობილი პიროვნე-
ბა, საბიბლიოთეკო დარგის დიდი სპეციალისტი
და პროფესიონალი ნოდარ გურგენიძე ათეული
წლებით აგროვებდა. ქ-ნი დიანა – მისი მეუღლე
– ყოველმხრივ უწყობდა მას ხელს მდიდარი
საოჯახო ბიბლიოთეკა შეექმნა და თვითონაც
გამუდმებით ეწეოდა თავის საყვარელ საქმეს –
ქარგვას. გარდა ამისა, გურგენიძეების უმცროსი
ქალიშვილი, ოთხი შვილის დედა – ლელა, სპეცი-
ალობით არქიტექტორი, შესანიშნავად ფლობს
ფუნჯს და ბევრს ხატავს. რითაც ამდიდრებს აქაუ-
რობას თავისი ნახატებით. ასე შეიქმნა ამ ოჯახში
ნიგნების, ნახატებისა და ნაქარგების დიდებული
კოლექცია, რომელიც უეჭველად ღირსია, იხილოს
დაინტერესებულმა საზოგადოებამ.

ქ-ნი დიანა, მიუხედავად საოჯახო საქმეებისა,
მუდამ შთაგონებით, შემართებით, ენერგიულად,
რუდუნებით ეწევა შემოქმედებით შრომას, რაც
ნათლად ამჟღავნებს მის უბადლო ნიჭიერებასა და
შემოქმედებით უნარს.

შენიშვნა: ქ-ნი დიანას ნამუშევრების ერთი მცირე
ნაწილის ხილვა შეგიძლიათ ჩვენი ჟურნალის გარე-
კანის ბოლო გვერდზე.



ქრონიკა

საქართველოს საბიბლიოთეკო სსოპრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები

■ 29 აპრილს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში ჩატარდა თათბირი საქართველოს სასოფლო ბიბლიოთეკების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისა და წიგნობრივი ფონდების განახლების საკითხებზე; როგორც სამინისტროს პასუხისმგებელი პირები იტყობინებიან, მიმდინარე წელს კაპიტალური რემონტი ჩატარდება საქართველოს ყველა რაიონში ორ-ორ სასოფლო ბიბლიოთეკას, მათვე გადაეცემათ თითოეულს 1000 ლარის ახალი ლიტერატურა და თითო კომპიუტერი, სულ ასეთ დახმარებას მიიღებს 120 სასოფლო ბიბლიოთეკა.

■ 30 აპრილს საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გაიხსნა კვირეული – 2008. გახსნას ესწრებოდნენ თბილისის დიდი სამეცნიერო ბიბლიოთეკების პასუხისმგებელი მუშაკები, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის გამგეობის წევრები, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენლები; კვირეული ქვეყნის მასშტაბით ტარდება 2002 წლიდან; რაიონებსა და ქალაქებში ჩატარებული ღონისძიების ამსახველი მასალები იხილეთ ჩვენი ჟურნალის მომდევნო ნომერში.

■ 1-ლ მაისს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გაიმართა სემინარი – "წიგნის რესტავრაცია და კონსერვაცია". სემინარს უძღვებოდა ბიბლიოთეკის წიგნის ჰიგიენისა და რესტავრაციის განყოფილების გამგე ე. გვარამაძე. სემინარზე მოეწყო აგრეთვე პრეზენტაცია წიგნისა – "როგორ დავიცვათ და შევინახოთ საბიბლიოთეკო ფონდი".

■ 5 მაისს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩატარდა ერთდღიანი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო ბიბლიოთეკის განახლებული ვებ-გვერდი, სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის მიერ შესრულებული სამუშაოები; კონფერენციაზე გააკეთეს ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ გამოცემული ბეჭდური პროდუქციის მოკლე ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა; კონფერენციას უძღვებოდა მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორი ემზარ ჯგერენაია.

■ 11 მაისს ქალაქის მერი გ. უგლავა და თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ზ. სამადაშვილი ეწვივნენ ქალაქის მთავარ (ცენტრალურ) საქალაქო ბიბლიოთეკას, რომელიც ამ დღეებში ახალ გარემონტებულ შენობაში გადავიდა (ტოვსტონოგოვის ქ. №2), როგორც ბიბლიოთეკის დირექტორმა ც. კალმახელიძემ დაადასტურა, ბიბლიოთეკას გადაეცემა 50 კომპიუტერი, შეიქმნა ავტომატიზაციის განყოფილება, ბიბლიოთეკაში ჩამოყალიბდა სპეციალური ჯგუფი, რომელიც შექმნის საბიბლიოთეკო დოკუმენტების ელექტრონულ კატალოგს. ამავე დროს ჩატარდება ფონდების რეინვენტარიზაცია და რეკლასიფიკაცია. საბავშვო ასაკის მკითხველებს სპეციალური ფონდით მოემსახურება საბავშვო განყოფილება.

■ 14-15 მაისს თბილისის ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტში ჩატარდა სემინარი თემაზე: "თავისუფალი ხელმისაწვდომობა: სამეცნიერო კონსულტაციის ახალი მოდელი". აღნიშნული მოდელი გულისხმობს სამეცნიერო შრომების გამოქვეყნების ახალ მეთოდებს, ყველასათვის ხელმისაწვდომ ღია პუბლიკაციებს ინტერნეტში. სემინარზე მოხსენებებით გამოვიდნენ ექსპერტები დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან, საკუთარი გამოცდილების შესახებ ისაუბრეს სპეციალისტებმა უკრაინიდან და სომხეთიდან. თავისუფალი დაშვების შესახებ ჩვენს ჟურნალში გამოქვეყნებული იყო სპეციალური სტატია (№ 2, 2002).

ნეკროლოგი

ხსოვნა ხანიერი

(რევაზ გორგილაძის გარდაცვალების გამო)



გარდაიცვალა საბიბლიოთეკო საქმის ღვაწლმოსილი მუშაკი, საქართველოს დამსახურებული ბიბლიოთეკარი რევაზ დიმიტრის ძე გორგილაძე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა რესპუბლიკური ბიბლიოთეკის რიგით ბიბლიოთეკარად დაიწყო. აქ, გამოცდილი კოლეგების გვერდით, საფუძვლიანად დაეუფლა საბიბლიოთეკო საქმის მრავალ ასპექტს. შემდეგ რამდენიმე წელი მუშაობდა თბილისის საოლქო აღმასკომში.

ბატონი რეზოს უშუალო მონაწილეობით 1958 წელს შეიქმნა საქართველოს

მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის ტექნიკური ბიბლიოთეკა, ხოლო როდესაც 1965 წელს ამ ბიბლიოთეკის ბაზაზე რესპუბლიკური ტექნიკური ბიბლიოთეკა დაარსდა, მის დირექტორად დაინიშნა. ეს იყო მცირე, ორი ოთახისაგან შემდგარი ბიბლიოთეკა, რომლის საცავში ტექნიკურ წიგნებთან ერთად, საპატენტო ლიტერატურამაც დაიწყო თავმოყრა. ბატონი რეზოს თავდაუზოგავი მცდელობის შედეგად ბიბლიოთეკა ორ მოზრდილ შენობაში გადავიდა. ამასთანავე მისი უშუალო მონაწილეობით შედგა ბიბლიოთეკის ახალი დიდი შენობის პროექტი. 1985 წელს მშენებ-

ლობა დამთავრდა და ბიბლიოთეკა ახალი სტატუსით – "გ. მიქელაძის სახელობის სახელმწიფო ტექნიკური ბიბლიოთეკა" განთავსდა კოსტავას ქ. №47-ში, ფართო და ნათელ შენობაში. ამ დროისათვის ბიბლიოთეკის ფონდების რაოდენობამ 21 მილიონ ერთეულს მიაღწია (პატენტები, სტანდარტები, ტექნიკური წიგნები, პერიოდიკა და ა. შ.).

ბატონი რეზო, როგორც წინდახედული ხელმძღვანელი, მუდმივად ზრუნავდა თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, სისტემატურად აგზავნიდა ბიბლიოთეკარებს კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე მოსკოვში, რიგაში, ტალინში, ტაშკენტში და სხვა ქალაქებში. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ტექნიკური საშუალებების დანერგვას ბიბლიოთეკაში. ასე მაგალითად, საქართველოში პირველად ამ ბიბლიოთეკაში დამონტაჟდა საინფორმაციო მასალების მექანიკური საძიებო კარადები – ე. წ. "გიგანტები". ასევე პირველად ამ ბიბლიოთეკაში დაიდგა და ამუშავდა ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანა "ისკრა". მისი მეშვეობით საქართველოს მთავრობის წევრებს სისტემატურად მიეწოდებოდა ინფორმაცია სიახლეების შესახებ წარმოებისა და სოფლის მეურნეობის დარგებში.

წლების მანძილზე რ. გორგილაძე ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას ა. ს. პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. ატარებდა ლექციებს საბიბლიოთეკო ტექნიკური საშუალებების კურსში.

1998 წლიდან სიჭარმაგეში შესული რევაზ გორგილაძე გადადგა დირექტორის

თანამდებობიდან და ამავე ბიბლიოთეკაში განაგრძო მოღვაწეობა კონსულტანტად, სადაც თითქმის სიცოცხლის ბოლომდე დაჰყო.

რევაზ გორგილაძე თავისი მოღვაწეობის პერიოდში ყოველთვის ზრუნავდა იმაზე, რომ ტექნიკური ბიბლიოთეკა, რომელსაც ის ხელმძღვანელობდა, არ ჩამორჩენოდა მსოფლიოს საუკეთესო სტანდარტებით მონესრიგებულ ანალოგიურ დაწესებულებებს, ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ აქ უახლესი ტექნოლოგიები დანერგილიყო, მიღწეული ყოფილიყო მუშაობის მაღალი დონე. საგულისხმოა, რომ იგი განსაკუთრებით აქტიურად მოღვაწეობდა ბიბლიოთეკათა საკოორდინაციო საბჭოში და თავისი მოსაზრებებით ყოველთვის იპყრობდა ყურადღებას.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ რ. გორგილაძე გამოირჩეოდა არა მარტო პროფესიული, არამედ ადამიანური ღირსებებით. ყველა, ვინც კი მას იცნობდა, დღეს სიყვარულითა და სითბოთი იხსენებს; იყო კორექტული, მუდამ მომართული და საქმიანი, ხალისიანი, ცხოვრებისმოყვარული, ცდილობდა ყველას დახმარებოდა, ყველასთვის შეეწყო ხელი. ჰყავდა დიდი მეგობრული წრე და თაყვანისმცემლები, უყურადღებოდ არავის ტოვებდა.

გული დაგვწყვიტა მასთან განშორებამ, წავიდა ჩვენგან და დაგვიტოვა ძვირფასი მოგონებები და ღირსეული სახელი.

საქართველოს ტექნიკური ბიბლიოთეკის
თანამშრომლები
საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია



კოლეგების საყურადღებოდ!

მიმდინარე წელს სრულდება 70 წელი ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტთა მომზადების დაწყებიდან, როცა შეიქმნა ფაკულტეტი და კათედრა, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში ემსახურებოდნენ ბიბლიოთეკათმცოდნე-ბიბლიოგრაფთა კადრების მომზადების საქმეს.

განზრახულია, ამ თარიღის აღსანიშნავად ჩატარდეს საიუბილეო ღონისძიებები. ამ სპეციალობის კურსდამთავრებულებს ვთხოვთ, გამოგვეხმაურონ, დაუკავშირდნენ ჩვენი ჟურნალის რედაქციას, მოგვანოდონ წინადადებები და მოსაზრებები. დანვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ჟურნალის რედაქციაში (თბილისი, საბურთალოს ქ. №47, ტ.: 36.09.51) 858 129952

„ბავშვთა დაცვის დღე“




მანათლებლო დაწესებულებები და, რაც მთავარია, წიგნი და წიგნიერი გარემო.

ჩვენს რედაქციას გადანყვევტილი აქვს თავის ფურცლებზე გამოაქვეყნოს იმ პირთა მოსაზრებები, რომლებსაც უშუალოდ აქვთ საქმე ბავშვებთან – მშობლები, პედაგოგები, ბიბლიოთეკარები და ყველა, ვინც გამოთქვამს ამაზე სურვილს. გვინდა შემო-



"ბავშვთა დაცვის დღე" – 1 ივნისი, რა თქმა უნდა, ერთი სიმბოლური დღეა მსოფლიოს ხალხთა ერთობლივად ყურადღების მისაქცევად და საზეიმოდ, თორემ ყველა ქვეყანაში ყოველი დღე ბავშვებს ეკუთვნის. ქვეყნის მომავალი იმაზე დამოკიდებულია, როგორ, რა პირობებში იზრდებიან ჩვენი პატარები. მაგრამ ეს არა მარტო მათ მატერიალურ პირობებს შეეხება, არამედ სულიერსაც. უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რა სულიერ საზრდოს აწვდის მათ სკოლა, ოჯახი, ეზო, ქუჩა, კულტურულ-საგან-

ვილოთ რუბრიკა – "ბავშვი: სკოლა – ოჯახი – ეზო". ვთხოვთ, მოგვანოდოთ წერილები, მოსაზრებები, სურვილები, რომლებსაც ანალიზს ბავშვთა აღზრდის სპეციალისტები გაუკეთებენ.



1-ლი ობიექტი - გავშვთა დაცვის დღე

